სამშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 17 № 241
ფელიეტონი მეოთხე

სამშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 17 №241
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 1 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არაგითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირდება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მილებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორის შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღია დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უპანასკნელი ცნობები

ბერლინში მუშები გაიფიცნენ.

ინგლისელები რეინზე გადავიდნენ. ამერიკელებმა კოლენცის არე-მარე დაიჭირეს.

ვილსონი პარიზში ჩავიდა. ხალხი აღტაცებით შეეგება.

ბავარიის პრემიერი 10 ქრისტეშობისთვეს ესაუბრა შეიარაღების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ბავარიასთან სეპარატიულ შეთანხმებისათვის.

გერმანელები სევასტოპოლს სტოვებენ.

დონის ყაზახებმა ვორონეჟის რაიონებში დიდათ გაიმარჯვეს.

ღრმად დამწუხარებულნი: დედა ქეთევან ესტატის ასული, დები—საშა და ნინო ისაკის ასულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველი ძვირფასი შვილის ხოლო მეორენი დის თბილისის მასწავლებელთა კოლეგიის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

ანნა ისაკის ასულის

ცერაძის

უდროოდ გადაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე დილით 10 საათ. და საღ. 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება დაბა ცხინვალში 22 ქრისტეშობისთვეს. გასვენება დილის 10 საათზე.

3—1960—1

ღრმად დამწუხრებულნი მამა ბახვა კიმოთეს ძე დადიანი, დები მარიამ მელიქიასა, პისტი ფიფიასა, ფეოდოსი და აღათი ბახვას ასულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 ქრისტეშობისთვეს, შაბათს 12 საათზე გადახდილ იქნება სოფ. საჭოჭუო-ჭალადიდის წმიდა მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

დანიელ ბახვას ძის დადიანის

სულის მოსახსენებლად. 1—1957—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები სოლომონი და თინათინ ნასიძენი, მამიდა მარიამი და ძმა ვანიჩკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი მე-2 გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე

სულხან სოლომონის ძე ნასიძე

პანაშვიდები საღ. 6 საათზე, გამოსვენება ოთხშაბათს, 18 ქრისტეშობისთვეს დილის 9 ნახ. საათზე რკინის გზის შენობიდან ნაძალადევის ხიდის გადასავლის მახლობლად, დასაფლავება პეტრე-პავლეს ეკლესიაში. 1—1959—1

ღრმად დამწუხრებული დედა ივლიტე, მეუღლე ანა, ძმები: ევგენი, გიორგი, ტრიფონი და დები: მატრონა, მარო, რძლები: ანეტა და თამარი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტრაღიკულად მოკლულის

ლავრენტი მერაბის ძე მანჯავიძეს

გამოსვენება მოხდება დღეს, 17 ქრისტეშობისთვეს, დილის 12 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1—1958—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ ახალგაზრდათა საყურადღებოდ!

დღეს, 3 საათზე პარტიულ ბიუროში შესდგება

საგაზეთო საერთო კრება

ეროვნულ დემოკრატების ახალგაზრდების მოხსენება დღევანდელ მომენტზე.

დასწრება სავალდებულოა.

ქართული ლატარია

მოქალაქენო! ნუ აგვიანებთ გილეთების შეძენას!

სახ. ლოგინიფო თეატრი

წარმოდგენა №№ 4, 5 და 6.

ორშაბათს 16, პარასკევს 20 და ორშაბათს 23

„კავშირის“ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ზღაპარი—ფერია

ზინათლე

(1-ლი ნაწილი) 3 მოქმ. და 7 სურ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს საოპერო დასის ბალეტი ბ-ნ ვაკარელის ხელმძღვანელობით, ხორო და ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

რეჟისორი შალვა დადიანი. — **თანაშემწე ალ. გუგუშვილი.**

მსახიობნი: აბაშიძე ტ., ამირაჯიბი ტ., ანკარა ს., დავითაშვილი ნ., ლეჟავა ოლ., სინაურიძე ო., ქილარჯიშვილი მარგ., ჩხეიძე ან., ჯავახიშვილი ნატ. აპტალიდი, აბდუშელი დ., არაბიძე ვ., ბარველი ი., გამყრელიძე ვ., გვარაძე ნიკ., იშხნელი გ., ლორთქიფანიძე მ., სარაული მიხ., საფაროვი ზ., ფანიაშვილი, ფრონის პირელი გ., ციციშვილი ნიკ., ცხაკაია შ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე შ.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. — მორიგი წარმომ. **ალ. გაჩეჩილაძე.**

მსახიობთა კავშირის დირექცია.

მზადდება: **„ანტიგონე“, „ტარიელ გოლუა“.**

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

სამშაბათს, 19 ქრისტეშობისთვეს, პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დღეს—საბანეევას, ზალიპსკის, ვორონსკის, ნიკოლსკის და დემიანეს მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

სევილიელი დალაქი

დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე. — **ადგილების ფასი ხელმისაწვდომია.**

შაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს, საბანეევას, სარაჯევის, ინაეევის მონაწილეობით **„ტრავიატა“.**

კვირას, 22 ქრისტეშობისთვეს, ალეშკოს, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით **„რუსალკა“.**

29 მარიამოგისთვეს (ახ. სტ.) ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფეშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

უკვალოდ დაიკარგა

1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი **დავით არონის ძე ელიგულაშვილი.** ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

ჯილდოს მილებით

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი ზიხაილის ქ. საკუთ. სახლი **არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს.**

(12—1956—1)

ომი

—ჩვენ საბუთები არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ სომხეთის მთავრობას კავშირი ჰქონდეს იმათთან, ვინც ჩვენ წინააღმდეგ მოქმედობსო. ამ სიტყვებით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. გეგეჭკორმა ამ სამიოდე დღის წინათ საქართველოს პარლამენტს. ღღეს თვით ჩვენი დიპლომატიისა და მისი ხელმძღვანელისთვის ცხადი უნდა იყოს ის, რაც კარგა ხანია უცილობელი იყო ცოტად თუ ბევრად დაკვირვებული და მგრძნობიარე ქართველი პატრიოტისთვის: სომხეთი ვერასოდეს ვერ შეურიგდებოდა 26 მაისის აქტს, ამ დღიდან დაწყებული არარატის რესპუბლიკა საქართველოს წინააღმდეგ სრულიად ემზადებოდა. ჩვენთვის აგრე რიგად მნიშვნელობა არ აქვს იმის გამორკვევას თუ რა კავშირი არსებობდა აქტიურად მომქმედ სამხედრო პარტიისა და ოფიციალურ მთავრობის შორის. თანამედროვე ომს ხალხი აწარმოებს და არა მინისტრთა კაბინეტი ან პარლამენტი. ხოლო რა მოსდის მთავრობის ან პარლამენტის წევრს, როცა ის მთელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ მიდის, ეს დაგვანახვა თუნდ კარჩიკიანისა და აზატიანის ბედმა.

ღღეს, როცა სომხეთ-საქართველოს ომი ფაქტია კიდეც, ჩვენ გვმართებს, რომ გულდამშვიდებით ავსწონოთ და ვიანგარიშოთ ჩვენ საწინააღმდეგოთ მომქმედი ძალები. მტრის მნიშვნელობის დამცირება უპატიებელი შეცოდება იქნებოდა.

ქართველ ხალხს საქმე აქვს მეტასმეტად უჯიათ და მოუდრეკელ მოწინააღმდეგესთან. არც ერთს თანამედროვე ერს არ დაუღვრია იმდენი სისხლი მიუწდომელ, უიმედო მიზნებისათვის, რამდენიც სომხობამ დაღვარა, არსად ადამიანის სისხლი ისე იაფად არ ფასობს, როგორც ვანსა, ეჩმიაძინსა და ერევანში. ამ ხალხს შეუძლია უდიდესი რისკი გასწიოს, რადგან მას თითქმის არაფერი აქვს დასაკარგავი. მკითხველს ეხსომება „ნორ ორიზონის“ წერილი, სადაც დაშნაკცაკანური ორგანო ამტკიცებდა, რომ იმ კონკრეტულ პირობებში, რომელშიც ღღეს სომხის ერი იმყოფება, ეროვნული სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია და ასეთ ფიქტიურ დამოუკიდებლობას რომელიმე მეზობელი სახელმწიფოს პროტექტორატი სჯობსო. მეორე მხრივ ცხადია, რომ სომხის ერს ბევრის მოგება შეუძლია, თუ ბედმა გაუღიმა და გამარჯვება არგუნა. მას შეუძლია მიიღოს საქართველოს ნაყოფიერი ველები და საქართველოს დედა-ქალაქი.

საქართველოსთვის პირიქით არაფერს სახარბიელოს არ წარმოადგენს სომხეთის ხრიოკი ზეგანი. თვით უბრწყინვალესი გამარჯვება თითქმის მხოლოდ იმას დაგვიმკვიდრებს, რაც წინათაც გვეკუთნოდა ან ისტორიული უფლებითა ან ფაქტიური მფლობელობით: ჩვენ გვესაჭიროება მოუსვენარი მეზობლის მოდრეკა და დაურვება და არა მისი ტერიტორიის შემოერთება.

სამწუხაროა, რომ ასეთი უმნიშვნელო მიზნების მისაღწევად შეუფერებლად დიდი მსხვერპლის გამოღება მოგვიხდება. მოწინააღმდეგეს სტრატეგიულად ხელსაყრელი პოზიციები უჭირავს: სომხეთის ზეგანი ზემოდან დასცქერის საქართველოს, ძნელია მტკვრის ხეობიდან ამ ზეგანზე ასვლა. ამით აიხსნება, რომ ჩვენი წინაპრები დიდს მნიშვნელობას აძლევდნენ ლორესა და ბამბაკს და ეს პროვინციები საქართველოს ეკუთვნოდა თვით უძლურებისა და დაქსაქსვის ხანაში.

მაგრამ გვგონია რომ სომხის პოლიტიკოსები მაინც მოსტყუვდნენ ანგარიშში, როგორც ოსმალეთთან ომის დროს, ისე ეხლაც როცა მოულოდნელად საქართველოს თავს დაესხნენ. უეშველი დისპროპორცია არსებობს დიდი სომხეთის იდეალისა და მცირე რიცხოვანი ერის ბიოლოგიურ და კულტურულ ენერგიის შორის. თბილისის დასაპყრობად კიდევ მეტი სისხლის გამოღებაა საჭირო, ვიდრე ალექსანდრეტის დასაპყრობად იყო საჭირო. ბოლოს სომხის ერი სისხლიდან დაიცლება ამ შეუფერებელ ბრძოლაში.

საქართველო კი ცვალებადი პერიპეტიების მიუხედავად განმტკიცებული და განახლებული გამოვა ამ ომისაგან. ჩვენი ხალხი განთავისუფლდება ინტერნაციონალისტური ჟანგისაგან, ჩვენი ტერიტორია გაიწმინდება აბეზარი და შეურიგებელი უცხო ელემენტებისაგან.

დიპლომატიური ენა

ვინ არის ბ-ნ გეგეჭკორის მდივანი?! ვინ აცხობს ამისთანა ნოტებს საგარეო საქმეთა სამინისტროში და ვის შეჰყავს სამარცხვინო შეცდომაში თვითონ მინისტრი?!

თქვენ ალბად წაიკითხავდით იმ „ნოტას“, რომელიც გაუგზავნა ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ბ-ნ ჯამალიანს, წაიკითხავდით ამ ნოტას და გნცვიფრებული სახტად დარჩებოდით. იქ ნათქვამია: „სანაინის სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას იღებენ სომხეთის ჯარები, მოქმედება წინასწარ მოწყობილი ხასიათისაა, გამართულია სამხერო შტაბები და ხელმძღვანელობენ შტაბ და ობერ-ოფიცრები სომხეთის რესპუბლიკისა; **მიუხედავად ამისა** ერთ წუთსაც შეუძლებელია ვიფიქროთ (?!), რომ სულ ეს იცის სომხეთის მთავრობამ ან მომხდარია მისი ბრძანებით“.

სამინისტროს აზრით ეს არის—დიპლომატიური ენა.

ნოტა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს „ცოდნას“ და „ბრძანებას“,—რათა? რომელ საერთაშორისო უფლებიდან ამოიკითხა ჩვენმა სამინისტრომ ამისთანა სიბრძნე? ნუ თუ არ იცის სამინისტრომ ის ანბანური დებულება, რომ არის **მოქმედება,** რომელიც თავისთავად ჰშობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა მისმა მთავრობამ რამე ამ მოქმედების შესახებ, ან იყო თუ არა ნაკარნახევი მთავრობის მიერ ეს მოქმედება. ასეთია მოქმედება არა მარტო მთავრობისა, არამედ ყოველ სახელმწიფო დაწესებულებისა და უფლებით აღჭურვილ პირებისა, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს ე. ი. წარმოადგენს საერთაშორისო დანაშაულს, საერთაშორისო დელიქტს.

ჯარი, ნამდვილი ჯარი, შტაბ და ობერ-ოფიცრების მეთაურობით, თავს დაგვესხა ვერაგულად, გადმოლახა ჩვენი საზღვარი და დახოცა ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც დარაჯად უდგნენ ჩვენს სახელმწიფოს... ამ დროს გამოდის ჩვენი სამინისტრო და იმის მაგიერ, რომ ულტიმატურად დაეყენოს კითხვა და გადაჭრილ ვადაში მოითხოვოს სრული დაკმაყოფილება, მოჰყოლია რაღაც ბაბა-უბდას: იცის თუ არა ეს გარემოება სომხეთის მთავრობამაო? ძალიან საჭიროა—იცოდეს თუ არა...

რა აზრი უნდა ვეძებოთ ამ უაზრობაში?

საერთაშორისო უფლებისა მიხედვით, სულ ერთია იცის, თუ არა მთავრობამ. იგი ერთნაირად პასუხის მგებელია მაშინ, როცა იცის, და მაშინაც, როცა არ იცის. როგორ? არ იცის, რომ მისი რეგულიარული ჯარი, ყოველნაირ სამხედრო სამზადისით, მიდის მეორე სახელმწიფოს საზღვრისაკენ, არ იცის, რომ ხელმძღვანელია მისი სამხედრო შტაბი, არ იცის, რომ მოძრაობაშია რკინის გზა, მიაქვთ სამხედრო მასალა და სურსათი... ერთის სიტყვით, ომს აწარმოებს და არ იცის არაფერი?. მაშინ მისი დანაშაული სწორედ ის არის, რომ არ იცის არაფერი. ამიტომ არის საჭირო ნოტა, რომელმაც უნდა მხოლოდ ამცნოს უფლების შელახვა და მოსთხოვოს დაკმაყოფილება.

ყოველივე ეს ძალიან კარგად იცის ბ-ნ გეგეჭკორიამ, მაგრამ რას იზამ, რომ რაღაც ხელს უშლის და ისე ვერ მოქმედებს, როგორც რიგია. ძალიან კარგად იცის, რომ ყოველი საერთაშორისო დანაშაული თავდაპირველად არის **ეროვნული შეურაცყოფა.** იცის, რომ ამისთანა შეურაცხყოფაში აუცილებელია გაბედული ეროვნულ ღირსებით სავსე პასუხი,—მაგრამ ეს პასუხი მაინც გამოდის ღობე-ყორეებიდან, სადაც ეროვნული ღირსება და ეროვნული პატიოსნება სამარცხვინოდ მიჩქმალულია.

რა ჭქნას? პროლეტარიატის საოდალი, სარდალი კლასთა ბრძოლისა და შინაური განხეთქილებისა—წელმოწყვეტილია საერთაშორისო სფეროში. სხვა-ფხრივ იგი ვერ ილაპარაკებს!

აი ნამდვილი ტრაგედია ჩვენი ცხოვრებისა.

გიორგი გვაზავა.

მოულოდნელი საფრთხე

მოულოდნელი საფრთხე მოგვეევლინა: არარატის რესპუბლიკამ ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების დაცლა მოგვთხოვა და, ვიდრე ამ ულტიმატუმს წარმოადგენდა, მოულოდნელად თავს დაგვეცა და სამხედრო მოქმედება დაიწყო.

ასე გადაგვიხადეს ამდენი ამაგი. საქართველო ყოველთვის და უკანასკნელ დროსაც მტერთაგან დევნილ სომეხთათვის თავშესაფარს წარმოადგენდა. აუარებელი გადმოხვეწილი სომეხი ამოეტეტასა და შიმშილს გადავარჩინეთ. მადლობის ნაცვლად კი ომი გამოგვიცხადეს. რა უმადურობაა!

საჭირო არ არის იმის დამტკიცება, რომ ვის ხელშიაც იქნება ახალქალაქი, ახალციხე და ბორჩალო, მის ხელში იქნება ბოლოს და ბოლოს მთელი საქართველო. მაგ სომხეთის რესპუბლიკის წადილი ჩვენს პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას ემუქრება.

თბილისი, საქართველოს დედა ქალაქი რომლის თვითეული ხელის დადება მიწა ჩვენ წინაპართა სისხლით მორწყულია, ნეიტრალურ ქალაქად ჰსურთ გამოაცხადონ. ერთი სიტყვით ჩვენ მადა გახსნილ მეზობლებს საქართველოს ტერიტორიაზე დიდი სომხეთის აშენება განუზრახავთ!

რას მივაწეროთ ასეთი თავგასულობა?! ალბად ჰგონიათ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვიხადეთ შინაურის, სამოქალაქო ბრძოლის მიერ გამოწვეული სახელმწიფოებრივი უძლურება! მაგრამ სომხეთის პოლიტიკოსებს პოლიტიკური წინამხედველობა ყოველთვის აკლდათ და ანგარიში ახლაც შეჰშლიათ. საქართველო უკვე სახელმწიფოებრივი ამშენებლობის გზაზეა და მისი დამოუკიდებლობის დასაცა-

ვად ყველა ქართველი, პოლიტიკური მიმართულებისა და სოციალურ მდგომარეობისდა მიუხედავად ერთად იქნება.

ომის დროს ყველაფერი მოსალოდნელია: შინაური ღალატი, გაცემა, მოულოდნელი დამარცხება პატარა რაზმისა და სხ., მაგრამ ქართველი ერი სულმოკლე არასოდეს არა ყოფილა და ათასჯერ უფრო მრავალრიცხოვან მტერს გამკლავებია.

მაგრამ არც ძალიან უნდა დავუმცირო მტრის ძალა. მტერს კარგათ გაწყობილი ჯარი ჰყავს, რომელსაც ჩვენ შესაფერი სამხედრო ძალა უნდა დაუპირდაპიროთ.

და საქართველოს შვილნი ყველანი ერთად გამოვლენ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად.

ვასილ წერეთელი

პრესა

ქალაქის არჩევნები და ხიმშები

„ნორ ჰორიზონში“ (№ 20, 14 ქრისტეშობისთვე) მოთავსებულია მრავალ მხრივ საყურადღებო მოწინავე წერილი: „მომავალი საქალაქო არჩევნები და „ქვეშევრდომების საკითხი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა და თბილისის ქალაქის გამგეობა უჩქარიან ქალაქის არჩევნების მოწყობას, მაგრამ მთავრობას ჯერ შესაფერი საარჩევნო კანონი არ გამოუცია და, მაშასადამე, ჩვენ უნდა უხელმძღვანელოთ „რუსეთის დროებით მთავრობის (კერენსკის) საარჩევნო დებულებითო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ზემოაღნიშნულ საარჩევნო კანონს აქარწყლებს „ქვეშევრდომობის“ საბედისწერო კანონი რომელიც საჩქაროდ გამოსცა მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ დღეშივე.“

„ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ იმ გარემოებაზე რომ ზემოხსენებული კანონი გაარჩია და მიიღო **ქართულმა ეროვნულმა საბჭომ** (ხაზი ნ. ჰ.) იმ დროს როცა იქ მხოლოდ **ცალმხრივ ქართული** წარმომადგენლობა იყო, როცა იქ თავის ხმის მიწყვდენა და თავის უფლებების დაცვა არ შეეძლო საკმაოდ მნიშვნელოვან რიცხვს ეროვნულ უმცირესობისა.“

„შემდეგ ეს შეცდომა რამოდენადმე გასწორა დღევანდელმა **ქართულმა** (არა **საქართველოს**) პარლამენტმა“. მაგრამ ძალიან ცოტა ადგილი მიაკუთვნა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, მათ რიცხვთან შედარებით.

„ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას კი გაცილებით მეტი ადგილი მიანიჭეს ებერშევიკებმა, ვიდრე მათ ერგებოდათ და ხელოვნურად გაამლიერეს იგი, ხოლო იმავე მენშევიკების ხელმძღვანელმა წრეებმა ხელოვნურადვე უფლება-შეკვეცილი მდგომარეობა შეაქცევეს ეროვნულ უმცირესობათათვის. ეს არ იკმარეს, ქართულმა ეროვნულმა საბჭომ. მეიტუმავა **ძირითად** კანონთა—როგორც მაგ. ქვეშევრდომობის კანონი—მთელი რიგი, რომელიც ეხება არა მარტო ქართველებს, არამედ საქართველოს **ყველა** ერებს, რომელთაც ეს კანონები მეოთხე რიგის მოქალაქეთა, არა-ქართველ „ქვეშევრდომთა“ საფეხურზე აყენებს“.

„ეროვნ გაზეთი აკრიტიკებს ქვეშევრდომობის კანონს, რომელშიაც ქვეშევრდომის პირველ ატრიბუტად აღიარებულია „ქართული ჩამომავლობა“; მეორედ კი 1914 წ., 19 ივლისამდე რომელიმე საადმინისტრაციო ერთეულზე (სასოფლო, მეზობლობა, ჰამქართა, თავად-აზნაურთა კასტიურ დაწესებულებებზე) თუ წერა, მაშინ როცა „ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება—საქართველოშიც კი—დიდი ხანია გამოვიდა ტომობრივ და მსგავს კასტიურ დანაწილების ეპოქიდან და ახალ თავისუფალ ფორმებში ჩამოყალიბდა“. ათასობით და ათიათასობით მოიპოვება მოქალაქეები, რომლებიც არც ერთ ამ დაწესებულებას არ ეკუთვნიან და არც მათზე მიწერილი არიან და მათ უსაფრთხოდ ეკარგებათ მოქალაქის უფლებები. ერთი სიტყვით „ეს საარჩევნო კანონი კრიტიკას ვერ უძლებს და პრესაში და კომპეტენტურ წრეებში ნეფასებულ იქმნა როგორც საკანონმდებლო უმცირესობის საუკეთესო ნიმუში.

მაგრამ ამ კანონით აპირობენ მომავალ არჩევნებში სარგებლობას და ეს უდიდესი ბოროტებაა; მის თავიდან ასაცილებლად ეხლავე უნდა იქმნას მიღებული ზომები.

„ყველაფერზე უფრო სასწრაფო საქმეა, რომ ამის შესახებ **ქართულ** (ხაზი ჩვ.) პარლამენტში შეტანილ იქმნას დამატებითი კანონი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ, რომელნიც ვალდებულნი არიან გამოიყვანონ მათი ამრჩევი ერები უფლებააყრილ მდგომარეობიდან. ქვეშევრდომობის კანონი უნდა იყოს ნათელი და გარკვეული, გარდა ამისა სრულიად უნდა გაუქმებულ იქმნას სიტყვების: „1914 წ. ივლ. 19 აზრი, რომელსაც ნამდვილი **რეაქციონური თვალსაზრისი შეაქვს კანონში და ეწინააღმდეგება დროებითი მთავრობის კანონს** (ხაზი ჩვ.). ყველა, ვინც კი სიათა შედგენის დროს (sic) საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება, უნდა ჩაითვალოს უფლება-მოსილ მოქალაქედ და ისარგებლოს საარჩევნო უფლებებით. **სხვა თვალსაზრისი შეუძლებელია ჰქონდეს მთავრობას რომელიც თავის თავს და თავის რესპუბლიკას დემოკრატიულს უწოდებს.** (ხაზი ჩვენია).

ნუ თუ „ნორ ორიზონს“ ჰგონია რომ ამ დემოკრატიული ფრაზეოლოგიით გავლენას მოახდენს ქართველ მემშვიკებზე და ხელს ააღებინებს მათ კანონზე რომელიც იკავებს საქართველოს რესპუბლიკას გარეწართა და მტერთა საფრთხისაგან?! თუ ჰგონია, ძალიან გულუბრყვილო ყოფილა?!.

აგრეთვე გაუგებარია გაზეთის მტკიცება, რომ ქართველებმა იხელმჰღვანელონ ერევნის მაგალითით; მალე გაიგებენ სომხები, რომ ტფილისი და ერევანი ერთი არ არის, მალე ამოდება მათ კადნიერემას ლაგამი...

ქრონიკა

ინგლისელთა მატარებელი. ნატანებიდან საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო სადგ. **უფროსის** და ბ. დიომიდე თოფურიძისაგან: „ბათომიდან მოდის ინგლისის მატარებელი ასაფეთქებელ მასალით, რომელიც განზრახულია კასპიის ფლოტისათვის. გთხოვთ მიიღოთ ყოველივე ზომები არავითარ შემთხვევაში და არსად რკინის გზაზე არ შეაჩეროთ და რიგს გარეშე გაატაროთ რესპუბლიკის გზაზე, ვინაიდან ეს ასაფეთქებელი მასალა დაკვეთილია ბაქოდან სასწრაფოდ. გთხოვთ აგრეთვე არ შეაფერხოთ რესპუბლიკის სადგურებზე ყველა ის პირნი, რომელნიც მატარებელს თან ახლავან.

ს. მდივანის დაბრუნება. გუშინ 16 ქრისტეშობისთვეს თბილისში სომხეთის რესპუბლიკის წინაშე საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ს. მდივანი დაბრუნდა.

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო. ოთხშაბათს, 18 ქრისტეშობისთვეს, ქართველ მსახიობთა კავშირის ბინაზედ დანიშნულია ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს კრება. კრება შესდგება საღამოს 8 საათზე.

ტრამვაის უფასო ბილეთები. 11 ქრისტეშობისთვეს ქალაქის გამგეობისა და ფინანსიური კომისიის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა არ დააკმაყოფილონ გენ.-გუბერნატორის შუამდგომლობა. საგუბერნიო ან ცისის და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ტრამვაის უფასო ბილეთების მიცემის შესახებ.

ნიხრის შეცვლა. ქალაქის გამგეობამ ასანთებ ნავთის ნიხრი შეამცირა 2 მან. 50 კ. გირვანქაზე. ხოროცზე ნიხრი მოუმატა და დანიშნა 2 მ. 60 კ. გირვანქ. ყველის ნიხრს ფუთობით ფასი დაუკლო 360 მან., ხახვზე დანიშნა 80 კ. გირ. და 25 მან. ფუთი. დანარჩენი ნიხრი არ შეცვლილა.

„პალას-ოტელის“ დაწვა. კვირას, 15 ქრისტეობისთვეს გოლოვინის პროსპ. სასტუმრო „პალას-ოტელს“, სადაც გერმანელთა კომენდანტურა იყო მოთავსებული. ცეცხლი გაუჩნდა. საღამოს 7 საათიდან დამქრობი რაზმები აქრობდენ ცეცხლს, და ვერ გააქრეს. დაიწვა სასტუმროს ქვეშ სახლები. ზარალი გამოურკვეველია.

ლტოლვილთა მოქმედება. ორთაჭალის სადგურის უფროსი ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ ამ სადგურის მიდამოებში ლტოლვილებმა მოხსნეს 500 ფუთამდე ეკლიანი მავთული და მიაქვთ ნაწილნაწილ ქალაქში გასასყიდად. 32 ხის ფარდულიდან სრულიად დანგრეულია და დამწვარი 6 ხის ფარდული. აყრილია სართულები და წაღებული.

ქურდობა. 14 ქრისტეშობისთვეს მ. რაკანტის ქარსეტის სახელოსნოდან მიხაილოვის ქუჩა № 119, ბოროტგანზრახველებმა 11.000 მან. სხვ. და სხვა საქონელი მოიპარეს.

— ამავე დღეს გ. გრიგორიანცისა და ხ. ხაჩატუროვის ფეხსაცმელების სახელოსნოდან 12.000 მ. ფეხსაცმელები და ტყავეულობა მოიპარეს.

სახადი. 13 ქრისტეშობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 22. ამ დღეს საავადმყოფოში სულ 299 ავადმყოფი იყო. აქედან დღემდე მორჩა 9, მოკვდა 3.

ქურდობა. 13 ქრისტეშობისთვეს ღამე რ. ანდრონიკაშვილს ბინიდან 5520 მან. სხვადასხვა ნივთები მოიპარეს.

მილიციის ხარჯი. მილიციის ზედ-დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის შეადგენს 250 ათასი მანეთს.

მილიციის უფროსის დადგენილებანი. ქალაქის მილიციის უფროსის განკარგულებით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს: ი. მირველოფს, საომარ პატრონების შენახვისათვის—6 თვით. ოგანეზ ტატუზოვს, როგორც საეჭვო პირს—1 თვით; მ. ალიბუხოფს რომელიც მხოლოდ ელექტრონის ლამპებს იპარავდა სვეტებიდან—3 თვით.

უეცარი სიკვდილი. 13 ქრისტ. საღ. 5 სათზე ლერმონტოვის ქუჩაზე № 21 სახლის წინ, გულის სიგანივრით მოკვდა ყარსის ქალაქის თვითმართველობის წევრი ბ. ამიროვი.

ნავთი. საბობი მასალის გამნაწილებელ კომიტეტმა მიიღო კიდევ 27 ვაგონი ნავთი. აქედან 5 ვაგ. მიეცა ქალაქის წყლის სადენს, 7 ვაგონი მექარხნეთა და მეფაბრიკეების საზოგადოებას 4 ვაგონი, ქალაქის გამგეობას ქუჩების გასანათებლად, 1 ვაგონი ახეთის რკინის გზას და 10 ვაგონი საქართველოს რკინის გზებს.

მკვლელობა. 12 ქრისტეშობისთვეს, საღ. 7 საათზე, სადგურის ქუჩაზე მოჰკლეს რადჟაჰ-ოღლი. მოკლულთან მილიციონერებმა 4.100 მან. აღმოაჩინეს. ეჭვით დააპატიმრეს მოკლულის ამხანაგი ყული-მალი ოღლი.

ადერბეიჯანის კაბინეთის გადადგომა. როგორც გადმოგვცემენ ხან-ხოელის კაბინეთი მთელი შემადგენლობით გადამდგარა. ახლა ახალ კაბინეთს აწყობენ რუსულ-ზადეს მეთაურობით. კაბინეთში უმთავრესად სოციალისტურ ბლოკიდან შედიან.

დიმ. არაყიშვილის გაძარცვა. კვირას, საღამოს ცხრა საათზე ეკსარხოსის მოედანზე სამმა შეიარაღებულ უცნობმა გასძარცვა სახლში მიმავალი კომპოზიტორი დიმ. არაყიშვილი. გაჰხადეს პალტო, წაიღეს ფული, ქაღალდები და სხვა.

ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო მეცენახეობა-მეღვინეობის პერიოდული გამოცემა „მეცენახეობა და მეღვინეობა“ კ. ბერეკაშვილის რედაქტორობით. გამოცემა შნოიანია და ღირს 1 მანეთი.

— დაიბეჭდა და საორგანიზაციო სექციაში იყიდება რესპუბლიკის გენერალ შტაბის წიგნები: დებულება ცხენოსან ჯარის სწავლებისა; დებულება ქვეითა ჯარის სწავლებისთვის, ქვეითა ჯარის წყობილების წესდება და შინა სამსახურის წესდება.

ცნობისთვის, თუ ვინმემ იცის რამე პოდპ. ევსევი ჩიქვანიას შესახებ, ვთხოვთ გვაცნობოთ მისამართით: „თბილისი სასახლის ქ. № 5. რედაქცია „ალიონი“ თ. ჩიქვანიას.

პროვინციის ცხოვრება

ს. კარდენახი. შერემეტიევის ცნობილი ნენახები და სხვა მამულები ყველა მოწყობილობით ჩამორთმეულ იქმნა და ცენტრალურ საადგილმამულო გამგეობამ ჩაიბარა.

ს. ოჩხომური. ბოროტმოქმედებმა მოჰკლეს ყარამან დგებუაძე.

დ ჩხარი. სოფლის სამეკიტნოში მოჰკლეს აფიცერი შალვა არეშიძე.

ს. თამაკენი (სამეგრელო). გაჰქურდეს ოღლა სულუხიანი. შეიპყრეს ა. ბარამია, რომელსაც სხვა ნაპარავიც აღმოაჩნდა.

ს. ჭკატუა. სოფელ ჭკატუაში მოჰკლეს მექა ხორგუა. შეიპყრეს მკვლელი ნიკო ალექსანდრეს ძე კოხმა.

ქ. ქუთაისი. ქუთაისიდან ხუთი ვერსის მანძილზე, მაღლაკის გზაზე, მოჰკლეს სოფლად მოვაჭრე ბუზიაშვილი.

ახალი ფეოდალიზმი*

სტეიონი და დამლუპველი ინსტიქტი ხშირად სჯობნის ადამიანს, მაგრამ როცა ადამიანი ბრმად მისდევს მას, ადასტურებს და ხელსაც უწყობს, იგი ბოროტებას სჩადის წინაშე თავის სამშობლოისა და ისტორიისა.

სასაცილოა როცა უმწეო ადამიანი ებღაუჭება ცხოვრების უძლეველ ჩარხს და ლამობს მის პირუკუღმა დატრიალებას, ხოლო იგი უდიდეს დანაშაულს სჩადის თუ მას შეუძლიან ამ ჩარხს ოდნავ მაინც პირი უბრუნოს,

*) ადგილს ვაძლევთ ამ წერილს, თუმცა ზოგიერთ მთავარ დებულებებს არ ვეთანხმებით. რედაქცია კიდევ დაუბრუნდება აღძრულ საკითხს.

რედ.

მაგრამ საამისოდ თითსაც არ ანძრევს და, პირიქით, მას გზაკვალსაც უკაფავს.

ჩვენ თვალწინ ხდება საქართველოს ფეოდალიზაცია, დაშლა ჩვენი ქვეყნისა, გაღრმავება მის ნაწილთა საზღვრებისა, დაყოფა საქართველოსი მაზრებად და ქალაქებად. ეს მაზრები ფეოდალურ სამთავროების საზღვრებზეა გამოკრილი, ხოლო ამ ერთეულებს თითქმის ისეთივე უფლებანი მიანიჭეს, რომელნიც უწინდელ ერისთავებს ჰქონდათ.

მოგახსენებთ შესახებ ერობისა და ქალაქთა უფლებების საზღვრებისა.

საოცარი ის არის, რომ საქართველოს დაქუცმაცების საქმეს სჩადის ის პარტია, ის ხალხი, რომელნიც უკიდურეს ცენტრალიზმის მომხრენი იყვნენ დიდ რუსეთში, მაგრამ ფედერალისტებად გადაიქცნენ პატარა საქართველოში. იმდენი ნიჭი, უნარი და დაკვირვება ვერ გაეოვიჩინეთ, რომ ჩვენი საქმე ჩვენივე ცხოვრების მიხედვით და ადგილობრივ პირობებზე გამოგვეკრა. თვალ დახუჭულებმა ჩავიცვეთ კერენსკის შიერ შეკერილი უზარმაზარ რუსეთისთვის უზარმაზარი ქურქი და ისე ჩავიმალეთ მასში, რომ ველარც მისი თავი გვიპოვნია და ველარც ბოლო.

სოფლად ერობა შემოვიღეთ და პატარა დაბა-სოფლები ქალაქებად გადავაკეთეთ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამ საქმეშიაც—როგორც ყოველთვის და ყველგან—შემოსავალგასავალი არ ვიანგარიშეთ და ვერ ვუჩვენეთ ამ ორგანოებს მათი შესაფერი ადგილი. თავი დავანებოთ ანგარიშსა და უანგარიშობას, თუმცა სწორედ აქ არის ჩასახული ჩვენი ქვეყნის სიკვდილი და სიცოცხლე. მიაქციეთ ყურადღება ქალაქთა და ერობათა უფლებების საზღვრებსა და ჩარჩოებს. მოიგონეთ ისტორია „დამოუკიდებელ“ თბილისის შექმნისა და გაიხსენეთ ახალი განკარგულება მთავრობისა, რომელმაც მილიცია გადასცა ერობას და მასვე მიანიჭა უფლება მაზრებისა და რაიონების კომისართა დანიშვნა, რომელნიც—ფუჭი ფორმისთვის—უნდა დაამტკიცოს საშინაო საქმეთა მინისტრმა.

რევოლუციის დღიდან მოყოლებული დღემდის გაუთავებელი ბრძოლა არსებობს ჩვენში სოფელ-ქალაქების სატრაპ-კომისართა და მთავრობის შორის. ამ კომისრების თვითნებობა, საარაკო გახდა. მინისტრები სულ იმის ჩივილში იყვნენ, რომ კომისრები მათ არ ემორჩილებიან, მათს ბრძანებას არ ასრულებენ და ამიტომ კანონები და ბრძანებანი ქალაქდიდან ცხოვრებაში არ გადადიანო. გაიხსენეთ ისტორია ჩვენი დამცირებისა და ეროვნულ თავმოყვარეობის შელახვისა ჩვენივე დედა ქალაქ თბილისში, რომელიც დღესაც უცხო ლეგანტიელების ხელშია. ამ მწარე მაგალითმა ვერაფერი გვასწავლა. ეხლა გათიშვის თესლს ჩვენი მთავრობა სთესავს იმერ-ამერეთში ბორჩალოში, ჯავახეთში და სხვაგანაც. ნაყოფი იგივე აღვა: გაუთავებელი ბრძოლა „არჩეულ“ სატარაპთა და მთავრობამ უკვე დაყარა იარაღი და თვისი ერთად ერთი ძალა—მილიცია ერობას დაუთმო. ასე სამარცხვინოდ გათავდა მთავრობისთვის და საქართველოსათვის ეს ბრძოლა. აქაც საკუთარი ქოხის პატრიოტიზმმა გიმარჯვა. მთავრობას შერჩა მხოლოდ სიტყვა და ცირკულიარი, რომელსაც ერობის მოთავენი შეასრულებენ, თუ ეს მათი ქოხისთვის და ტყავისთვის არ იქნება, კანონი და ბრძანება პალატისა და მინისტრთა კაბინეტებში დარჩება.

ყველა იბრძვის თავის ძალა-უფლების გაფართოვებისათვის, ეს გასაგებიც არის და ბუნებრივიც, მაგრამ გაუგებარია. მთავრობის მხრივ ასე ადვილად თავის ძალა-უფლების დარიგება, დაქსაქსვა და განიავება. ეს მაგალითი ცხადად ამტკიცებს უკიდურეს სისუსტეს მთავრობისას, რომელსაც იმდენი ძალაც აღარ შერჩა, რომ შეინარჩუნოს თვისი მცირე უფლებანიც. მან გაჰფანტა ეს უფლებანი და შეინარჩუნა მხოლოდ ერთი უფლება, ანუ ვალდებულება: მარჯვნივ და მაცხნივ უნდა აძლიოს მილიონები რამდენიმე ათასი მოხელის შესანახად.

ასე უხვად დაფანტულ-დათესილი თესლი მეტად მწარე ნაყოფს გამოიღებს. თითო მაზრაში შეიქმნება სამი „ამორჩეულის“ ტრიუმვირატი, რომელსაც ხელთ აქვს მფლობელობის უმთავრესი იარაღი: მისგან დანიშნული კომისრები, მილიციონერები, ექიმები, ფერშლები, მასწავლებლები, აგრონომები, ტეხნიკოსები. ამ ხალხის დანიშვნის დროს სახელმძღვანელოდ დარჩება ისევ დღევანდელი პრინციპი ნათესაობისა, მეგობრობისა და პარტიობისა. ამ ნიადაგზე და ასეთი თესლიდან მხოლოდ ნგლოფა ამოვა. ეს ტრიუმფირატი არჩეულია, ე. ი. ხალხის ნდობითა და ძალა-უფლებით შემოსილი, ამიტომ იგი მოვალე არ არის დაემორჩილოს „ვიღაც“ მინისტრებს. ამ ნიადაგზე მალე გაჩაღდება ბრძოლა და მტრობა ცენტრსა და პროვინციის შორის ჩვენ მეათეჯერ ვნახავთ ნიმას, რაც უკვე ცხრაჯერ ვნახეთ: მთავრობას დაუთესია ერთი თესლი და როცა მას მოუტანია ბუნებრივი, ხოლო მოესფლეთვის მოულოდნელი ნაყოფი, მთავრობა შესდგომია თავისივე ნათესთან ბრძოლას და მის გლეჯას. ასევე მოიქცევა ამ საქმეშიაც ყოველნაირი მთავრობა: სოციალისტური თუნდ ბურჟუაზიული, ვინაიდან იგი—თუ თავის ხალხისა და ქვეყნის მტერი არ არის,—ვერ მოითმენს წინანდელ ერისთავების ნაცვლად დღევანდელ ფეოდალ კვაპანტირაძეთა და ჩიბურდანიძეთა ერისთავობას. საქართველოს არც ეხლა აქვს ერთი ხელი, ერთი ნებისყოფა, ერთი გეგმა და სისტემა, ხოლო როცა ასეთი ხელი და გეგმა ასი გაჩნდება, ჩვენი მცირე ძალლონეც ასად გაიბზარება, ვ. ი. მოისპობა, და ხელთ შეგვრჩება მკვდრეთით ამდგარი ფეოდალური საქართველო, სადაც ათი სამშობლო და ათი ბატონი იყო.

დღეს დიდი პოლიტიკის დროა, ყველა ლონდონ-პარიზისაკენ ვაიყურება და არავინ ჰხედავს ამ „ბატარა“ რეფორმას, რომელსაც დიდი ხიფათი და არეგ-დარეგა მოსდევს. თუ უბრალო წამბაძველობის შეტი არაფერი შეგვძლებია, სჯობია ამ საქმეში უფრო ფრანგ-იაკობინელებს წავბაძოთ, ვიდრე რუსეთს, რომლის უზარმაზარ ტანს სავსებით შეეფერებოდა ძალა-უფლების ასეთი დეცენტრალიზაცია, ხოლო მცირე საქართველოს ძორიან-ფეხსვიანად მოშლის და რამდენიმე საუკუნით დასწევს უკან.

შ. ადამაშვილი.

საქართველოს მთავრობის პროტესტი

თბილისი, 16 ქრისტ. ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. საქართველოს მთავრობის პროტესტი.

„მთავრობის დავალებით მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: ჩვენ შეზობელ და მეგობრულ განწყობილებაში მყოფ სომხეთის საზღვარზე, სარაინში და ვორონცოვკაში მდგარ ჩვენ მოსაზღვრე სადარაჯოს 10 ქრისტეშობისთვეს თავს დაესხა სომხეთის რეგულიარული ჯარის ნაწილები. მოსაზღვრე რაზმის ნაწილი დახოცეს ნაწილი ტყვეთ წაიყვანეს ტელეგრაფი შეწყვეტილია, რკინის გზის ლიანდაგი—აყრილი.

საქართველოს მთავრობა ფიქრობდა, რომ ამ მუხანათურ თავდასხმასთან არავითარი კავშირი არ ექნებოდა სომხის მთავრობას და მით უმეტეს, თავდასხმა არ იქნებოდა მოწყობილი მისი თანხმობით. ამის გამო საქართველოს მთავრობამ ტელეგრაფით წინადადება მისცა სომხეთის მთავრობას, რათა მას საჭირო ზომები მიეღო სისხლის ღვრის შესაწყვეტად, მაგრამ არა თუ მიიღეს საჭირო ზომები, პირიქით სამხედრო მოქმედება განვითარდა და ჩვენ უკვე მივიღეთ სომხეთის მთავრობის ოფიციალური განცხადება, რომ ეს მუხანათური თავდასხმა სომხეთის მთავრობის ბრძანებით მოხდა. ჩვენ მიერ საზღვარზე გაგზავნილი დელეგაცია, რომელშიაც საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნიც ერიენ, კინალამ მსხვერპლი გახდა ამ ინციდენტისა.

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც საქართველოს მთავრობამ სომხეთის მთავრობას წინადადებით მიმართა მოწვეულ იქმნას ამიერ-კავკასიის კონფერენცია ყველა სადაო საკითხთა შშვიდობიანი გზით გადასაჭრელათ. მაგრამ სომხეთის მთავრობამ უარი სთქვა კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. ის დაბეჯითებით მოითხოვდა სომხეთ-საქართველოს წინასარ კონფერენციის მოწვევას.

საქართველოს მთავრობა დაეთანხმა სომხეთის მთავრობის სურვილს და მოითხოვა ყველა სადავო კითხვების გადაწყვეტა მომხდარიყო შეთანხმებით, ხოლო თუ შეთანხმებას ვერ მიაღწევდენ, სადავო საკითხი გადაწყვეტილიყო საერთაშორისო არბიტაჟის საშუალებით.

დღე და დღე მოველოდით სომხეთის დელეგატების მოსვლას, მაგრამ ისინი უკანასკნელ დრომდე არსად გამოჩენილან. ამის მაგივრად კი მოხდა მუხანათური თავდასხმა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის ნორმებს სრულებით არ ეთანხმება,

ყველა ზემოხსენებულ საკითხთა აღვიარებთ, რომ ორივე მეზობელ რესპუბლიკათა შორის სისხლის ღვრის ასაცილებლათ ყოველგვარი ზომები ჩვენის მხრივ მიღებულ იქმნა, საქართველოს მთავრობა თავის მოვალეობათ სთვლის მთელი ქვეყნის წინაშე აღიაროს, რომ, აცხადებს რა ენერგიულ პროტესტ სომხეთის მთავრობის მოქმედების გამო, ის თავიდან იშორებს ორ მოძმე ხალხთა შორის სისხლის ღვრის დამღუპველ შედეგთა პასუხისმგებლობას. ამ ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთ შორის განწყობილება, რომელიც უზრუნველჰყოფდა ორივე ქვეყნის აყვავებას, საუკუნოების განმავლობაში არას დროს არ დაროვეულა და ამ უკანასკნელი გამოსვლის პასუხისმგებლობა მთელ თავის სიმძიმით ეკისრება სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას“. საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

ჩერნინის კანდიდატურა.

ავსტრიის ყოფილი გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ჩერნინი გერმანია-ავსტრიის ნაციონალურ ყრილობის არჩევნებში კანდიდატათ არის წამოყენებული. ფიქრობენ, რომ მას აირჩევს ვენის ან ზალცბურგის ოლქი.

ბარტი და იოფფე.

სახალხო კომისარმა ბარტმა შემდეგი განაცხადა: ამხანაგ იოფფეს რადიო-დეპეშაში ნათქვამია, რომ მე მივიღე მისგან ფული, იარაღი და ამუნიცია რევოლუციონურ მიზნებისათვის. ამის გამო მე ვაცხადებ, რომ არც მისგან და არც სხვა რომელიმე ამხანაგისგან არას დროს არ მიმიღია არც ფული და არც იარაღი. რამდენიმე ასი ათას მარკამ ჩემს ხელში გაიარა პროპაგანდისთვის და რევოლუციის მოსამზადებლად. ეს ფული კი მე მივიღე გერმანელ ამხანაგებისგან. მე მხოლოდ ერთხელ ვნახე იოფფე დაახლოებით რევოლუციის დაწყების 14 დღის წინად და ველაპარაკე იმის შემდეგ, რაც იარაღის დიდი ნაწილი უკვე ვიშოვე. ვაცხადებ, რომ მე პირველმა განვუცხადე დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელთ, განსაკუთრებით ჰაზეს, იარაღის შეძენის შესახებ მას შემდეგ, რაც მე უკვე მქონდა იარაღი. ამიტომ ისინი მოახდარ ფაქტის წინაშე დავაყენე.

ლლოიდ-ჯორჯი და იძულებით ჯარში გაწვევა.

ბრისტოლში ლლოიდ-ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის განაცხადა, რომ იძულებით ჯარში გაწვევა შემოღებული იყო კრიტიკულ მდგომარეობის გამო. საზავო კონფერენციამ უნდა მოითხოვოს, რომ გაუქმდეს იძულებით ჯარში გაწვევა და ამგვარად აცილებულ იქნას მომავალში ომის საშინელება ტ უზრუნველყოფილი ჰყოს ზავი დიდი ხნით.

ბუკოვინა-რუმინიის გაერთიანება.

ბუკოვინაში ეროვნულმა საბჭომ აღიარა ბუკოვინა-რუმინიის კავშირი.

რუსეთის ახალი მთავრობა სტოკჰოლმში.

სტოკჰოლმის გაზეთი „დაგებ. ნიეტუნი“ იუწყება, რომ სტოკჰოლმში მოლაპარაკება სწარმოებს რუსეთის ახალ მთავრობის შესადგენად, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს რუსეთის მართვას ბოლშევიკების დამხობისთანავე.

ინგლისელები კელნში.

კელნში მოვიდა ინგლისის 33,000 ჯარისკაცი.

გერმანულ საბჭოების დ[illegible]ოვნის ულტიმატუმი

ბერლინიდან მოსული [illegible] ცნობით, შეთანხმების სახელმწიფ[illegible] კონ აპირებენ წარუდგინონ გერმ[illegible]ნიის მთავრობას ულტიმატუმი, მო[illegible]ოვენ ყველა საბჭოების გაუქმ[illegible], იმავე დროს შეაჩერონ სურსათის [illegible] და მასალის შეზიდვა და დ[illegible]ნ გერმანიაში წინსვლის უფლება.

გერმ[illegible] ახ მოწინააღ. კოალიციის წყალწყვა.

გერ[illegible]ნიის მოწინააღმდეგე კოალიციის წყალწყვის მდგომარეობა 31 ივნ[illegible] შემდეგი იყო: დანაკლისია 15,05 5,786 ტონი, ააშენეს 10,879,527 წყალ წყვის გემი და მტერს წაართვეს 2,39 2,675 წყალწყვის გემი. შეთანხმების სახელმწიფოთა ზარალია 1,811,584 ტონი. ინგლისის ფლოტის დანაკლისია 2,443,012 ტონი.

ბრიტანეთი ცნობა

მოსკოვი. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი). სამხედრო ცნობა.

დასავლეთის ასპარეზი. ნარვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სოფლები: სააკჰი, ტიურპსალი და პერიფერი. პსკოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა გორპენჰოო დაიპირა. იაკობშტადტის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიპყრო ქ. იაკობშტადტი.

ვილხონი

კარნაფონი. 11 ქრისტეშ. ვილხონი, ევროპაში წასვლამდე, ინახულა ციმბირის მთავრობის ორმა წარმომადგენელმა.

ნაუენი. 12 ქრისტეშ. სტოკჰოლმის გაზეთი „სოციალდემოკრატი“ მოითხოვს კონსტიტუციის შეცვლას, თუ ეს მოთხოვნა უარყოფს, გაზეთი იმუქრება დიმფუძნებელ კრების საკითხი წამოაყენოს. გაზეთი აღნიშნავს, შვეციაში სახელმწიფოებრივ გადატრიალების შესაძლებლობას. შვეციის მუშარჯვენე სოციალისტურ გაზეთებს სურს აიცილონ პარლამენტის დათხოვა, რადგან ამ შემთხვევაში მუშათა საერთო აჯანყება აუცილებელი შეიქმნება.

სამხრეთ-ხლავიანების მთავრობის შედგენა

ბელგრადში დასრულდა მოლაპარაკება სამხრეთ სლავიანების სახელმწიფოთა მთავრობის შედგენის შესახებ. სილეზიის ყველა ქალაქში დემონსტრაციები ხდება პოლონელთა წინააღმდეგ, რომლებსაც ამ ოლქების მითვისება სურთ.

შეიდემანელთა რეზოლუცია ბოლშევიკთა წინააღმდეგ

ბინსკი. 12 ქრისტეშ. აღმოსავლეთის ასპარეზის ოპორტიუნისტულ გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე 273 ხმის უმეტესობით 238 წინააღმდეგ მიიღეს შეიდემანელთა რეზოლიუცია, რომლიც შეუძლებლათ სთვლის ბოლშევიკებთან კავშირს, რადგან ეს კავშირი შეაფერხებს გერმანიის ჯარის წესიერ ევაკუაციას. რევოლიუციონურ უმცირესობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანიის რევოლიუციონური ჯარები უკრაინის და რუსის რევოლიუციონერებს შეუერთდებიან იმ შემთხვევაში, თუ პროვაკაციას აყოლილი გერმანელი ჯარისკაცები მათ შეებრძოლენ.

გაფიცვა შვეიცარიის რკინის გზებზე

ნაუენი. 12 ქრისტეშ. ქვა-ნახშირის უქონლობის გამო კვირას შვეიცარიის რკინის გზაზე მოძრაობა შესწყდა.

ინგლისური პრესა

ლოიდჯორჯი იძულებით ჯარში გაწვევაზე

13 ქრისტეშ. „ივნინგ შტანდარტი“ მთავრობის დავალებით იუწყება, რომ ლოიდჯორჯი მოითხოვს დიდ ბრიტანეთში იძულებით ჯარში გაწვევის გაუქმებას, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ კონტინენტალის სხვა სახელმწიფოები ვერ დაუთანხმდა ამაზე.

გერმანეთის ნადედოფლარი

ყოფილი [illegible] სერიოზულათ ავათ არის გულის [illegible]ნივრით. ბერლინიდან სპეციალისტები [illegible] ჩამოიწვიეს.

რუსეთის 320 მილ. ფრ[illegible]კი

320 მილიონი ფრანკი ოქროთი, რომელიც გერმანიამ მიიღო რუსეთისგან ბრესტ-ლიტოვის ხელშეკრულების თანახმად გადატანილია პარიზში და შეტანილია საფრანგეთის ბანკში.

ვილსონი პარიზში

ვილსონს მოელიან პარასკევს შუადღისას ბრესტში. შაბათს დილით კი პარიზში მას მიიღებენ ელისეის სასახლეში, სადაც საუზმეს გაუმართავენ.

გერმანული პრესა

ჩერნინის ხიტყვა

13 ქრისტეშ. ავსტრია-ჰუნგრეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფ ჩერნინმა ვენის პოლიტიკურ მოღვაწეთა და ჟურნალისტთა საზოგადოებაში 11 ქრისტეშ. სიტყვა წარმოსთქვა და გამოაქვეყნა აქამდე უცნობი საბუთი, რომელიც ააშკარავებს ხელმძღვანელ სამხედრო წრეების დამოკიდებულებას 1917 წელში ზავის ჩამოსაგდებათ გადადგმულ ნაბიჯებისადმი. გრაფმა ჩერნინმა სთქვა, რომ ავსტრია-ჰუნგრეთი მუდამ საჭიროებდა გერმანიის დახმარებას და მისი გამარჯვება რუსეთში, სერბიაში, იტალიაში და რუმინიაში მოპოებულ იქმნა გერმანელებთან ერთად.

ავსტრია-ჰუნგრეთი დამოკიდებული იყო გერმანიისაგან არა მარტო სამხედრო საქმეში და ხურსათის მხრივ, მოკავშირეთა მიერ ჰუნგრეთის ბლოკადის გამო, არამედ ფინანსიურადაც. გერმანიის დამხმარება 100 მილიონიდან ომის განმავლობაში 4 მილიარდ მარკამდე გაიზარდა. მიუხედავათ ასეთი დამოკიდებულებისა ჩერნინი არწმუნებდა გერმანიას დათანხმებულიყო ზავზე თუნდაც მსხვერდლის გაღება საჭირო ყოფილიყო ამისთვის ეს იყო მაშინ, როცა სამხედრო მდგომარეობა ჩვენთვის სასარგებლოდ იყო. ჩერნინი ამის შესახებ ამბობს: დარწმუნებული ვარ რომ ერთად ერთი მომენტი იყო ამ ომის ისტორიაში, როცა ზავის ჩამოგდება უიმედო არ იყო. ასეთი მომენტი დადგა გალიციაში დიდი ბრძოლების შემდეგ მაშინ როცა რუსეთის ჯარი საჩქაროდ უკან იხევდა, როცა რუსეთის, ციხე სიმაგრეებში ფსიხოლოგიური ცვლილება მოხდა, ამ დროს მე კიდევ ვლაპარაკობდი ვიყაგი რუმინიაში, მიიფრესკუ შაად იყო აქტიურად მხარი დაეჭირა ჩვენთვის. მომავალი გვაჩვენებს თუ რა ენერგიის დახარჯვა დაგვჭირდა, რომ გერმანიისთვის გვაიძულებინა დათმობა. თუ ჩვენმა ლდამ ნაყოფი არ მოიტანა, ამაში ბრალი უდევს არა გერმანიის ხალხს, და ჩემი აზრით, არა კაიზერსაც, არაფერ გერმანიის მხედრობას, რომელსაც თავისი თავი უძლეველი ეგონა. ვილჰელმშტრასზე, ბატმანიდან დაწყებული კიულმანამდე ყველას სურდა ზავი, ოგრამ მათი მისწრაფება უნაყოფო იყო. რადგან სამხედრო პარტია ამარცხებდა ყველას, ვინც მისი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა. გერმანიის სამხედრო ძალა იმ ჟამად ისეთ პოლიტიკას აწარმოებდა, რომლის მაგალითიც ისტორიას არც ახსოვს. ჩერნინი ახასიათებს ლიუდენდორფს, როგორც ძლიერ კაცს, რომელსაც თავისთვის არაფერი არ სურს და სცოცმლობს იმისთვის, რომ გერმანია გაბედნიეროს, უბედურობა მხოლოდ ის არის, რომ ლიუდენდორფი უყურებდა მთელს ქვეყანას პოტსდამის სათვალეებით, და ზავის ყოველგვარ პოლიტიკას უარყოფდა, თუ ის არ იყო გამარჯვებულთა ზავის გამომხატველი. ჩერნინმა სიტყვა ასე დასრულა: „ლიუდენდორფი ისეთივე იყო, როგორც ინგლისის და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწენი. არც ერთ მათგანს არ სურდა კომპრომისებზე წასვლა და სწყურეოდათ მხოლოდ გამარჯვება. ამ ხერივ მათ შორის ორავითარი განსხვავება არ არის.

პანგერმანულ პარტიის გაუქმება.

პანგერმანულ პარტიას ეროვნულმა კომიტეტმა 10 ქრისტეშობის დაადგინა შესწყვიტოს ამ პარტიის არსებობა.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. 14 ქრისტ. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი). ჩრდილოეთის ასპარეზი. იარენსკის და მეზენის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სოფელი კოსიანსკლე დაიპირა. დასავლეთის ასპარეზი. ვიალენკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სადგური ზამანცალენი დაიპირა. სვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიპირა სესლავინსნო-ოდრუცკის რკინის გზის ხაზი. სადგური ბესლავინი მოწინააღდეგემ დასწვა. მოლოდენენსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სადგურ კროვიზამდე რკინის გზის ხაზი დაიპირა. სამხრეთის ასპარეზი. ბობროვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა სადგური კალმიკი დაიპირა. კამიშინის მიმართულებით ბრძოლის შემდეგ ალექსანდროვკა დავიპირეთ. ცარიცინის რაიონში კრივომოზონისკენ ბრძოლა სწარმოებს. ბალაშოვის მიმართულებით ნოვოხოპერსკი დავიპირეთ. ყაზახებმა უკან დაიხიეს. ცარიცინის ასპარეზზე კრასნოვის გენერალმა ტატარ რკინმა საბჭოთა ჯარს დელეგაცია გაუგზავნა და იარაღის ჩაბარება მოსთხოვა. წითელმა ლაშქარმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება მხოლოდ მშრომელ ყაზაზებს. ამის შემდეგ ჩვენმა ჯარმა ყაზახთა ჯარი თხრილებში ამოხოცა.

ბალტიის სანაპიროების დაცლა.

დვინსკი, 13 ქრისტ. გერმანელების მიერ ბალტიის სანაპიროთ დაცლის შემდეგ იქ არეულობაა. რიგა სავსეა გადმოხიზნულ ბურჟუაზიით.

სად. ზასლავლის აღება.

მინსკი, 13 ქრისტ. მოლოდეჩნის მიმართულებით დავიპირეთ სადგური ზასლავლი.

პეტლიურას ჯარის წინსვლა.

სერედინა ბუდა, 13 ქრისტ. პეტლიურას ჯარმა აიღო სადგ. ვირჟოლ. ქ. ნეჟინი და სადგ. რაზდელნაიასკენ წინ მიიწევს. კიევში ჯარში იწვევენ ყველას 20—35 წლამდე. მიჰყავთ მუშებიც. უარის მთქმელთ ხვრეტენ. ტრამვაის მუშებმა საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადეს.

პოლონელთა მოთხოვნილებანი.

გროდნო, 12 ქრისტ. მუშათა დეპუტატების საბჭომ სხდომაზე მოიწვია ყველა ეროვნების წარმომადგენელნი. პოლონელებმა მოითხოვეს, რომ ოფიციალურ ენად შემოიღონ პოლონური და ქალაქის თვითმართველობიდან ებრაელთა წარმომადგენელნი გააძევონ.

ვენაში.

ნაუენი. 12 ქრისტ. ვენიდან იუწყებიან, რომ იზრდება აღშფოთება ჩეხელთა წინააღმდეგ, რომელთაც ვენაში გაგზავნილი ქვა-ნახშირით დატვირთული მატარებლები დააკავეს.

გერმანულ გვიანის მიმოხვლის აკრძალვა ბალტიის ზღვაზე.

ლონდონი. 12 ქრისტეშ. მოკავშირეებმა ბალტიის ზღვაზე გერმანიის გემების მიმოსვლა აღკრძალეს.

ვილსონი პარიზში.

დილის 10 საათზე პარიზში მოვიდა ვილსონი, რომელსაც აუარებელი ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა.

გერმანული პრესა.

სამხედრო მინისტრის ხიტყვა დახარჯულ დიფლომატიისთვის.

12 ქრისტ. ბერლინში ფრონტიდან დაბრუნებულ გვარდიის მეოთხე ქვეითი დივიზიის მიესალმა მე-5 გვარდიის ყოფილი უფროსი, ახლანდელი სამხედრო მინისტრი შეუძლი. შეუხმა მოიგონა გვარდიის გმირობა, რომელიც მან სხვა და სხვა ადგილას გამოიჩინა. ყველგან, სადაც კი იბრძოდა გვარდია, სთქვა მინისტრმა, მან იშვიათი გმირობა გამოიჩინა. ახალ გერმანიის ახლო მომავლის მიზნების შესახებ შეუხმა სთქვა „ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების არსებობისა და აღორძინებისთვის საჭიროა ყველას მუშაობა. ახალ საფუძველზე გერმანიის აღორძინებისთვის თანამშრომლობაში ყველა გვჭირია. დადგება დღე, როდესაც შესაძლებელი გახდება კარგი ცხოვრება. ყველა, ვინც ომის განმავლობაში თავისი ვალი აღასრულა მონაწილეობას მიიღებს ახალი მიზნების განხორციელებაში. ამას გისურვებთ ოქვენ შინ დაბრუნებისას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კარგი მოქალაქენი იქნებით და იქნებით აგრეთვე მათი იმედი, ვინც ფვალა წესრიგის დამყარება, ერის აღორძინება და აყვავება და თქვენ ახალგაზრდებმა, უნდა დაიცვათ წესრიგი და არ უნდა შელახოთ ჯარის დროშა. თქვენ აგრეთვე მოვალე ხართ დაეხმაროთ ახლანდელ მთავრობას და ყველაფერი გაუგონოთ თქვენ უფროსებს.

ცენზურა.

საფრანგეთის სოციალისტური გაზეთები პრორტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მთავრობა სისტემატიურათ აკავებს იმ კორესპოდენციებს და გაზეთებს, რომელიც გერმანიის რევოლიუციას შეეხება და რომ უშვებს მხოლოდ ყალბ ცნობებს.

დონელების გამარჯვება.

კიევიდან მოსული ცნობით ვორონეჟის რაიონში ნოვოსოპიორსკთან დონის ყაზახებმა ბოლშევიკები დაამარცხეს. ორი დღის ბრძოლის განმავლობაში ათასი ტყვე წაიყვანეს და ხელთ იგდეს 21 ზარბაზანი.

უკრაინაში

მოსკოვი. 14 ქრისტ. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი) უკრაინა. სოფელი მიხაილოვო. მოაგვარეს უთანხმოება გერმანელთა და პეტლიურას შორის, რომელიც გამოიწვია მან, რომ გერმანელები კონატოპის და ბახმაჩის დაცლას მოითხოვდენ. გერმანელები მიდიან, რკინის გზა კონაპოპამდე გაწმენდილია. გერმანელებმა წასვლის წინ იარაღი პეტლიურას ჯარს მიჰყიდეს. საკონტროლო სადგურებზე პეტლიურას ჯარი მიმავალ გერმანელებს იარაღს ართმევს.

ფოში და საბჭოები

ინგლისური პრესა. 14 ქრისტეშობ. ცნობაა, რომ მარშალი ფოში არ სცნობს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

გაფიცვა ბერლინში

ამსტერდამიდან მოსული დეპეშა. გაფიცვებმა ბერლინში ფართო ხასიათი მიიღო. გამოვიდა მხოლოდ ორი გაზეთი, ისიც შემოკლებული ფორმატით. ცნობაა, რომ 350,000 მუშამ შესწყვიტა მუშაობა.

სევასტოპოლი

მოკავშირეთა ჯარი სევასტოპოლს ანთავისუფლებს გერმანელთაგან, რომლებიც ბოლშევიკებთან ერთად მოქმედებენ და უწესოებას ახდენენ. მოკავშირეთა ჯარი ოდესის დეპუტაციასთან სრული შეთანხმებით მოქმედებს. დეპუტაცია მოითხოვს ფრანგ ადმირალის დახმარებას.

ინგლისელები რეინზე

ინგლისის ჯარი რეინზე გადავიდა და კელნის სიმაგრის ოკუპაცია დაიწყო. ამერიკის ჯარმა კობლენცის სიმაგრე დაიპყრო.

ტრევიდან, სადაც დროებითი ზავის კომისიის სხდომაა, დეპეშით იუწყებიან, რომ დროებითი ზავი გაგრძელდება 17 იანვრის დილის 5 საათამდე და ამის შემდეგაც შესაძლებელია განახლდეს მოკავშირეთა თანხმობით წინასწარ ზავის შეკვრამდე.

სეპარატიული შეთანხმება ბავარიასთან

10 ქრისტ. ბავარიის პრემიერ მინისტრი დიდხანს ეთათბირა შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. თათბირი ეხებოდა ბავარიასთან სეპარატიულ შეთანხმებას.

ლაშქრების მოხპობა

ლოიდ ჯორჯმა სთქვა: მან სურს პირდაპირ განაცხადოს, რომ საჭიროდ მიაჩნია ყველა ქვეყნებში ისეთი ჯარების გაუქმება, რომელიც იძულებით გაწვეულ პირთაგან არის შემდგარი. წინააღმდეგ შემთხვევაში საზავო კონფერენცია მიზანს ვერ მიაღწევს და სამარცხვინო იქნება მშუშაობაში. ინგლისის ყველა დელეგატმა კონფერენციაზე ამ პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს.

ჩინეთი

მოკავშირეთა ელჩნი ჩინეთის მთავრობას ჩააბარა მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამია, რომ მოკავშირენი ძალიან დაინტერესებულნი ჩინეთის სამოქალაქო ომში და იმედი გამოთქმული, რომ მებრძოლ მხარეებს შესარიგებლად მიღებული ზომები მიაღწევს- მოკავშირეთა ელჩებმა კანტონის მთავრობასაც გადასცეს მემორანდუმი სადაც ადნიშნულია, რომ ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ სცნობენ ამ მთავრობას.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

მუშების მოძრაობა ინგლისში.

„მორნინგ პოსტში“ გენდერსონი სწერს, რომ ინგლისის მუშებში ბოლშევიკური მოძრაობის დაწყება ეტყობა. ასეთი მოძრაობა ემჩნევათ განსაკუთრებით უფრო რკინის გზის მოსამსახურეებს, რომელნიც მოითხოვენ სოციალისტურ კონფერენციის გამართვას.

გერმანია და სამშვიდობო კონგრესი.

სამშვიდობო კონგრესის გერმანიის დელეგაციის შემადგენლობაში აირჩიეს ს. დ. ერცბერგერი (დელეგაციის შეთავარი) და ედუარდ დავიდი.

ს ტ ა მ ბ ო ლ ში.

სტამბოლის „აღმოსავლეთის ჟურნალი“ იუწყება, რომ ამ დღეებში სტამბოლში მოელიან სომხურ დელეგაციას პოლოს ნუბრა ფაშის თავმჯდომარეობით.

სტამბოლში მივიდა პრინცი საბახედინი, რომელსაც „ახალგაზრდა“ ოსმალთა მთავრობის მიერ სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი და რომელიც ამის გამო ოსმალეთიდან გაიქცა.

ჰფიქრობენ, რომ საბახ-ედინს ოსმალეთის ახალ მთავრობაში მოიწვევენ და იმედს გამოსთქვამენ, რომ მისი მონაწილეობით ოსმალეთისა და მოკავშირეთა სახელმწიფოების დამოკიდებულებას მოაგვარებენ. პრინცი ყოველთვის მომხრე იყო მოკავშირეთა სახელმწიფოებისა.

ესპანეთის და ხოვდეპიას განხეთქილება.

ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარ გებარელომ განაცხადა, რომ ესპანეთის მთავრობამ ბოლშევიკებთან დამოკიდებულება შეწყვიტა და ამ ჟამად საბჭოს რუსეთში ესპანეთის წარმომადგენელი აღარ არისო.

უფის დირექტორიის დაცემა

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან რომ უფის დირექტორია როგორც რუსეთის უმაღლესი მთავრობა, აღარ არსებობს.

უფა დღეს ამირბარ კოლჩაკის ხელშია და მოხალისეთა ჯარების მთავარსარდალს ემორჩილება,

უწესობა სტამბოლში

ფეოდოსიაში მოსული მოკავშირეთა მეზღვაურების გადმოცემით დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგ სტამბოლში არეულება დაიწყო. არეულობა მოკავშირეებმა ჩააქრეს, სტამბოლის ძველი პოლიცია გადააყენეს და ინგლის-ფრანგული პოლიციით შესცვალეს.

მათივე გადმოცემით მოკავშირეებმა ხელში ჩაიგდეს გერმანიის შორსმსროელი ზარბაზნები, რომლითაც ყუმბარებს უშენდნენ პარიზს.

ფრანგული გაზეთი ოდესაში

ოდესაში გამოვიდა ფრანგული გაზეთი „L'ladérendant“. გაზეთი. უპარტიოა.

ომაზანები ომში

8 ქრისტეშ., ღამით, ონიდან (რაჭაში) დაბრუნდა ქუთ. გუბერნიის კომისარი ლ. გრიგოლია, რომელიც იქ იყო წასული იმის გამოსარკვევად, თუ რისთვის ან რა მიზანი იქვს იქ მოსულ ყაზახთა რაზმს. ამის გამო ლ. გრიგოლიამ გადმოგვცა შემდეგი: პიატიგორსკის რაიონში დენიკინის ჯარს მოსვლია შეტაკება ბოლშევიკთა რაზმთან, ბოლშევიკებს უკან დაუხევიათ და მოსვლიათ შეტაკება ყაზახების და ოსების რაზმთან, რომელიც საგანგებოდ ემორჩილება ბიჩერახოვს. ბოლშევიკების სიმრავლის გამო რაზმი იძულებული გამხდარა, დაეხია უკან. ოსები ოსეთში დარჩენილან, ხოლო ყაზახებს გამოუშვერებიათ მამისონის ულელტეხილისკენ და მოსდგომიან ონს, სადაც ისინი დაბანაკებულან, ხოლო სამი ოფიცრისაგან შემდგარი დელეგაცია გაგზავნილა ონის ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად, რომ მას შეეკითხა მთავრობისათვის, ნება დართონ მათ ქუთაისით ნოვოროსიისკში გამგზავრებისა. ონის ადმინისტრაციას მათთვის. იარაღი აყარა და სამივე დაუტუსაღებია ესენი ინახულა გუბ. კომისარმა მათ განმეორებით სთხოვეს გაეშვათ მათი რაზმი.

ქუთაისში ჩამოსვლისას გუბ. კომისარმა ეს ყოველივე აცნობა საქართველოს მთავრობას, საიდანაც მიიღო შემდეგი პასუხი: მთელ რაზმს იარაღი აჰყარონ და ისე ფოთით ქუთაისში გავლით გაამგზავრონ ნოვოროსიისკში.

ამრიგად ამ დღეებში ონიდან ჩამოვა ყაზახთა რაზი, რომელთა რიცხვი 80 კაცს უდრის და იმ დღესვე გაამგზავრებიან ფოთით ნოვოროსიისკში. ყაზახების გადმოცემით, ბოლშევიკურ რაზმს ხელმძღვანელობს საქართველოდან გაქცეული საშა გვგეშკორი. მათივე სიტყვით, იგი დასჭრეს თავისავე რაზმელებმა იმის გამო, რომ მან მორჩილება და დისციპლინა მოსთხოვა მათ. (ს. რ.).

დოკტორ იაკობ რეინგესი

საქართველოში ისტორიულად დასაბუთებულია, რომ ევროპიელებმა, ერთ დროს, საქართველო სათანადო პატივისცემით გაიცნეს. უფრო კი რომის ტახტმა საქართველოსადმი დიდი ლმობიერება გამოიჩინა. ამ კეთილს განწყობილებას აქვს დიდი ისტორიული ღირსება. ამ გარემოების საფუძვლად დავასახელებთ მხოლოდ სამ ისტორიულ ამბავს, ესეც საკმარისია მის საფუძვლად, რომ ვიცოდეთ რომის დიდი ყურადღების მნიშვნელობა.

ნიკიფორე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დახმარებით და თაოსნობით, რომის ტახტმა ქართული სტამბა გახსნა ქ. რომს 1626 წ.

1627 წ. ახლად გახსნილს სტამბაში, პირველად გამოიცა ქართული წიგნი, „ქართულ-ლათინური ანბანით პატარა „ლოცვის წიგნი““ და ქართველ კათოლიკეთათვის და ვრცელი ტომი, სახელდობრ: ქართულ-იტალურ თათრულ ენების გრამატიკა.

პაპის კოლეგიაში დაფუძნებულ იქმნა ქართულ ენის კათედრა, სადაც ქართველებს გარდა ევროპიელებსაც ასწავლიდნენ ქართულ ენას. ამ კათედრის საშუალებით თუმცა კვიან, მოხდა წარმატებაც, რომ იტალიელთა გვარის მისიონერების შემდეგ, საქართველო გაიცნეს ბავარიის გერმანიის პრუსიის იმპერატორსაც.

საქმე ისე მოეწყო, რომ XVII საუკუნის ნახევარს, ავსტრიის ერთს იმპერატორს, ვახტანგ მეექვსემ რამდენიმე მოციქულები გაუგზავნა და თან გაატანა იმპერატორისათვის ძვირფასი ჯიშის ცხენი, ბრილიანტებით შეკმაზული, მეტად ძვირფას აღკაზმულობით. ასეთი მაგალითები სხვა დროსაც მომხდარა, და XVII საუკუნეში მეფე ერეკლე, პრუსიის მეფეს ისე დაუახლოვდა, რომ ერთ დროს, ხოლ. ლეონიძის სიტყვით ფრიდრიხ დიდმა თავის თეთრზედ, დააწერა:

„ევროპაში ნე ვარ უძლეველი და აღმოსავლეთში გიორგიანთ ლერკულესი უძლეველი მეფე ერეკლეო“.

შემდეგ გერმანიის მოგზაურებმა საქართველოში, მგზავრობა დაიწყეს და ამ დროდამ გერმანელთა ტომის მსწავლულთა და მოგზაურთა უფრო უკეთ მოჰკიდეს ხელი საქართველოს ერის და სამეფოს ცხოვრების შესწავლას, ვიდრე ამ-ს სწავლობდნენ იტალიელნი და რომის ტახტის მისიონერები. გერმანელთა ტომის მსწავლულ მოგზაურებმა რომაელებს გადააჭარბეს.

რომაელები საქართველოს ყურადღებას აპყრობდნენ მარტო ქართველობის მხრით და ამის სიბრალულით, რასაც ყოველთვის თან სდევდა კათოლიკის სარწმუნოების გავრცელების სასარგებლო ფნება ქართველებში. გერმანელ მოგზაურთა და მოსწავლეთა ცდა კი სულ სხვაგვარ იქმნა დაწყობილი, ამათ საქმეთ და საგნათ გახდა არა მარტოთ საქართველოს სამეფოს წყობილების გაცნობა და სხ.

ექ. იაკობ რეინგეს პირველათ უცხოვრია ავსტრიაში იქიდამ გრაფ კოგანის რჩევით ავსტრიის მთავრობას სპარსეთის ელჩად დაუნიშნია. ჰ. კარბელაშვილის სიტყვით, ექიმი რეინგესი ავსტრიიდან სპარსეთში გრაფ კოგანს დაუბინავებია ქ. თეირანში. რეინგესი სპარსეთის ყაენმა პატივისცემით მიიღო.

რეინგესმა მალე მიიპყრო ყურადღება სპარსეთის ყაენისა [illegible] სპარსეთის პირველ [illegible] რსელ [illegible]ადს კაცებთა რიცხვში, მრავლათ ერეკენ ქართველთა დიდებულებიც, რომელნიც ყაენის დავალებით სპარსეთში სცხოვრებდენ, ზოგი ამათგანი სპარსეთის სამეფო სამსახურში იყო, ზოგი სამოქალაქო ნაწილში მსახურებდა და ზოგნიც ყაენის კარზედ სცხოვრებდა, მათ ყაენისაგან დანიშნული ჰქონდათ ულუფა. (პენსია).

ქართველთა რიცხვი განიყოფოდა ასე: ერთი ნაწილი ამ ქართველთა აღიარებდა თავის სჯულს, ქრისტიანობას, მეორენი კათოლიკობას და მესამენი კი იყვნენ მაჰმადიანობაზე გადასულნი. სამივე ამათ კი ურთიერთ შორის კარგი, მტკიცე, ნაციონალური კავშირი ჰქონდა და პატივისცემა ყველაფრის ერთმანეთის. ექიმმა რეინგესმა სპარსეთის ყაენის დიდებულების გაცნობასთან გაიცნო თეირანში მყოფი ქართველები..

ამ დროს, სპარსეთში და თეირანშიაც სცხოვრებდენ რომის ტახტის მისიონერები, ძმანი ავგუსტიანელები, დომინიკიანელები, კაპუცინელები, ფრანცისფულები და თიათინელებიც. დაახლოებული კავშირი ქონდათ სპარსეთის ქართველებთან. როგორც სჩანს ამ მისიონერებში ზოგნი გერმანიის ტომისანიც უნდა რეულიყვნენ და ვფიქრობთ, რომ თვით რეინგესიც კათოლიკის სარწმუნოების უნდა ყოფილყო, რადგან იგი სპარსეთში ცხოვრების დროს დაუახლოვდა კათოლიკის მისიონერებს. რეინგესმა ამავ მისიონერების დამმარებით გაიცნო საქართველოს მდგომაოეობა

რეინგესის ყურადღება უმთავრესად იმ გარემოებამ აღძრა, რომ ქართველობის ერთი ნაწილი ქრისტიანი იყო და მეორე მაჰმადიანი. მას საქართველოს შინაური გარემოებაც აინტერესებდა. მისიონერების მიერის ყოფილან საქართველოს გულშემატკივარიც, როგორც მისიონერი მამა ბარბარე ფედელი და მამა ბარონ ელიზბარ ბითონი. ვფიქრობთ, რომ ორივე ეს მისიონერები ბარბარე ფედელი და ბ[illegible] ელიზბარი უნდა იყვნენ გერმანელნი.

[illegible] დროს, როცა ეს მისიონერები მოკმედებდენ რეინგესზე, გერმანიაში კარგად იქმნა გაფრცელებული ტურენდორფის მიერ საქართველოს აღწერა რუნით და სურათებით.

ტურენდორფმა თავის ბოლოს საქართველოს შესახებ გერმანიაში 17[illegible] წ. გ[illegible] ქვეყნა და აიის მეორე ამ ძოგზაუ[illegible] რომას მოჰყვა ვიცენის ნა[illegible] ა ჰოსონის, რომელთაც საქა[illegible] კარგად ანუსხეს. ამ პოეთა ანუსხვას დაეხმარა აკადემიკოს ჰულ[illegible] ბ[illegible] მოგზაურობა საქართველოში და საქართველოს აღ[illegible], [illegible] ელიც ჰეღდენბ[illegible] [illegible] ეზაზე პირველად დასტამბა 1769 წ.

სპარსეთში მყოფ კათოლიკე მისიონერებთაგან რეინგესმა დაიწყო ქართული ენის შესწავლა, მასთან არ ერიდებოდა ქართველთა დახმარებას და სადაც კი ნახავდა ქართველებს სპარსთაგან დევნილებს და შეურცხვენელებს, იგი თავგამოდებით და ამკაოად ეხმარებოდა ამათ.

სპაოსთა წინაშე ქართველების მფარველობას ყოველთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

ამ დროს სპარსეთში, რაღაც მანქანებით, სცხოვრობდნენ რუსის სამხედრო პირნი, რომელთა შორის რეულან ისეთი ქართველები, რომელნიც დიდი მომხრენი ყოფილან რუსეთის მთავრობის და მასთან მოსუფლები მისაც, რომ ეგები საქართველოს სამეფო რუსეთს დროით ჩაეგდო ხელში. ასეთ პირებმა რა გაიცნეს რეინგესის დამოკიდებულება ქართველებთან მათ დიდათ ეწყინათ. ამათ იმეცადინეს და რეინგესის ამბები დაწერილებით შეატყობინეს გიორგიევსკში მყოფ კავკასიის რუსის ჯაოებს მთავარსარდალს პატიომკინს. ამ ორგულებმა პატიომკინს ისიც დასძინეს, რომ თქვენ რომ რეინგესი დაიიარლოეთ, მის დახმარებით საქართველოს ძრიელ მალე ჩაიგდებთ ხელშია.

მალე რეინგესი ჩარიცულ იქმნა რუსეთის სამსაურში და დაინიშნა მეფე ერეკლეს და სოლომონ მეფის კარზედ კომისრად.

თბილისში ძოსულ რეინგეს დახვდნენ სხვათაშორის სპარსეთის ქართველები, რომელთაც დიდი პატივით მიიღეს.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

აფხაზეთის არჩევნები

აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების მომწყობი ცენტრალური კომისია ა. ისიდორე რამიშვილის თავმჯდომარეობით შეუდგა კიდეც მოქმედებას. პოლიტიკურ პარტიების სა-

ხით ამ კომისიაში არიან თავმოყრილნი სხვა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი და მათ მინდობილი აქვთ პოლიტიკური არჩევნები მთელს აფხაზეთში მოაწყონ. ეს მეორე სხდომა გამართა კიდეც კომისიამ, მაგრამ ამ სხდომებზე ვერ ვნახეთ ისინი, ვინც ყველაზე უფრო დაინტერესებულია აფხაზეთის ბედ-იღბალში; აქ ამ სხდომებზე არ ჩანან თვით აფხაზები... აქ არიან რუსები, სომხები, ბერძნები, არიან ქართველებიც, მხოლოდ არ არიან აფხაზეთის მკვიდრთა ნამდვილი წარმომადგენელნი. ამ რიგათ გამოდის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია სწყვეტს აფხაზეთის ბედს თვით აფხაზთა დაუსწრებლად.

რაა ხდება აგრე? რა არის ამის მიზეზი?

არ შეეხებით აქ ამ მიზეზის ანუსხვას და გამოკვლევას, — ეს მეტათ შორს წაგვიყვანდა. ტრიალებს კი საზოგადოებაში ბევრგვარი ხმები; ზოგის აზრით თვით აფხაზები უცხადებენ ბოიკოტს ამ კომისიას და არჩევნებსაო, ზოგი გაიძახის, რომ მთელს აფხაზეთში მედგრათ მუშაობს ქსელგაბმული პროპოკაცია და აფრთხობს აფხაზთა წარმომადგენელთ, არ უშვებს მათ კომისიამდეო და სხ.

არ შეუძლებით აქ იმის გარჩევას, თუ რომელია უფრო მართალი; მხოლოდ საკირო იყო, რომ თვით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დანიშნულს კომისიის თავმჯდომარეს ბ. რამიშვილს მიეჭცია ამ არა სასურველი მოვლენისათვის ყოროვანი ყურადღება და მოეწვია აფხაზეთის ხალხის წარმომადგენელნი. როცა მას კომისიის სხდომაზე შეეკითხენ ამის შესახებ, საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელნი, ბ. რამიშვილმა უპასუხა, რომ ჩვენ ვიწვევთ აფხაზთა წარმომადგენელთ, ვუგზავნით უწყებას და არ ვიცით კი-რათ არ მოდიანო.

სიმართლე მოგახსენოთ, ასეთი პასუხი არ გვაკმაყოფილებს; ასეთი პასიური მოქცეცა მავნებელია, როგორც თვით აფხაზეთისათვის, ისე საქართველოს რესპუბლიკისათვის. საჭიროა ბ. რამიშვილმა გამოიკვლიოს აფხაზთა მოუსვლელობის მიზეზი, მიიღოს ენერგიული „ზომები" და დააინტერესოს ამ მომავალ არჩევნებით აფხაზეთის ხალხი. გვწამს, რომ აფხაზთა დაუსწრებლობას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოყვება მავნე და უსიამოვნო შედეგები...

ამაზე უფრო მეტათ გაგვაკვირვა კიდევ მეორე მოვლენამ: კომისიის მეორე სხდომაზე მდივანმა წაიკითხა ადრევე მომუშავებული დადგენილება, რომ მომავალ პოლიტიკურ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ აფხაზეთის ტერიტორიის ყველა მცხოვრებთ, განურჩევლად ეროვნებისა და ქვეშევრდომობისაო. ამ დებულებით ის დასკვნა გამოდის, რომ უცხოეთის ქვეშევრდომთ უფლება ეძლევათ აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელის ფათურის და თავის ორიენტაციისაკენ მიმართვის. ადვილი მისახვედრია, თუ რა დიდ საფრთხეს უმზადებს ასეთი წესი როგორც აფხაზეთს, ისე თვით საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას! არ მიკვირს, როცა ამავე დებულებას იწონებს ცენტრალურ კომისიის უცხოელი წევრები, მაგრამ ჩვენს გაკვირვებას არ ქონდა საზღვარი, როცა ასეთ დებულებას მხარი დაუჭირეს იმავე კომისიის სხდომაზე ჩვენი მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა! ნუ თუ ამ პატივცემულმა პირებმა არ უწყიან, თუ რას ნიშნავს ასეთი დებულება?! ნუ თუ მათ არ ესმით, თუ რა დიდ საფრთხეს უმზადებს ასეთი დებულება როგორც თვით აფხაზეთს, ისე საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას?! ნუ თუ მათ არ იციან, რომ აფხაზეთში ბინადრობენ დღეს 20.000 რუსი და 30.000 სომეხი, რომელთა დიდი უმეტესობა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომია და ამიტომ მათი მისწრაფება, ექვი არაა, იქნება უცხოეთისაკენ და არა საქართველოსკენ?! და თუ ესმით ყოველივე ეს, მაშ რას ნიშნავს ასეთი პოლიტიკური შეცდომა?! ვგონებ დროა ეროს მოგზორდეთ ვიწრო პარტიულ ბურუსს, კიმოქმედოთ სახელმწიფოებრივი გეზით და ვაწარმოოთ რეალური პოლიტიკა!

ასეთ უკულმართ დებულებას კომისიის კრებაზე სასტიკათ წინაღუდგენ საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სოხუმის კომიტეტის წარმომადგენელნი ს. ქვარიანი და ნ. თავდგირიძე. ესენი საბუთებით უმტკიცებდენ კრებას, რომ არც აფხაზეთის ყოფილ საგანგებო საბჭოს და არც არსებულ ცენტრალურ კომისიას არ ქონდათ და არა აქვთ უფლება შეედგინათ ასეთი დებულება, ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს და ამ გვარი დებულება შეეძლო გაეგზავნა მას კომისიისათვის მხოლოდ ცალკე რეგლამენტით. ამასთანავე ამტკიცებდენ, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც უცხოპირთ, უცხოელ ქვეშევრდომთ, ენიჭებოდეთ პოლიტიკურ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და ამიტომ არც საქართველოს მთავრობა შეიწყნარებს ასეთ რასმესაო, რომ ეს ძირითადი საკითხია, ამის გადაწყვეტა სავსებით აღემატება ჩვენს კომპეტენციას, ამიტომ ახლავე უნდა შევეკითხოთ ამის შესახებ საქართველოს მთავრობასაო და სხ.

დიდი კამათის შემდეგ კომისიამ, როგორც იყო, შეიწყნარა ეს სამართლიანი მოსაზრება და დაადგინა: საჩქაროდ გაეგზავნოს საქართველოს მთავრობას მთელი საქმე და მასთან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელთა ცალკე აზრი და ეთხოვოს ამ საკითხის გადაწყვეტა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხმის მიცემის დროს ეროვნულ-დემოკრატებს მხარი დაუჭირეს ს.-ფედერალისტების წარმომადგენლებმა; მსჯელობაში კი ამათ მონაწილეობა არ მიუღიათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მთავრობა და პარლამენტი ფხიზლათ შეხედავენ ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხს და არ მისცემენ ნებას უცხო ელემენტებს, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ ჩაერიონ ჩვენსა და აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში საარჩევნო ხმის უფლების მიცემით და მით დიდ ხიფათში ჩაგდონ, როგორც აფხაზეთი, ისე თვით საქართველოს რესპუბლიკა. ვიმეორებთ, როგორც აფხაზეთის, ისე მთელი საქართველოს უაღრესი ინტერესი თხოულობს ამ საკითხის გონივრულ გადაწყვეტას, ე. ი. გადაწყვეტას სწორეთ იმ სახით, როგორც ეს აქვთ უკვე გადაწყვეტილი შეგნებულ ერებს და მაღალ კულტურულ დემოკრატიულ რესპუბლიკებს, სადაც პოლიტიკურ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ და ხმის მიცემა აკრძალული აქვთ უცხო პირებს, უცხო ქვეყნების ქვეშევრდომებს.

რიონელი.

ქართული ათი მცნება

ყოველ ერს, თუ იგი მართლა ერია და არა ჯოგებრივი კრებული, თავის ისტორიულ მსვლელობაში შეუქმნია საკუთარი მოკლე ჯუმლი, რომელიც გამოხატავს მის შეხედულობას ადამიანის მოწოდების შესახებ. ამგვარი ჯუმლი ანუ კოდექსი დამუშავებული აქვს ჩვენს საზეპურო ერსაც, და ეს ჯუმლი ათ—მცნებად გამოუთქვამს დიდებულ მგოსანს, დავით გურამიშვილს ასე:

ა. **მიჯნურმან** უნდა ტრფიალი
გულ-მართლა შეიყვაროსა:
მუდამ გვერთ ახლდეს სურვილით,
არ-ოდეს გაეყაროსა,
უმისოდ ჭირად სახევდეს
ყოველსა გასახაროსა,
ტკბილად სჩნდეს მისთვის სიკვდილი,
სიცოცხლე გაიმწაროსა.

ბ. **მწყემსობა** უნდა სიფრთხილით,—
აქნდეს მცირედი ძილია:
მუდამ მხნედ სამწყსოს უვლიდეს —
დღე ყინულელი თუ თბილია.
„მწყემსმან კეთილმან ცხვართათვის
დადვისო სული ტკბილია
ვინც ბრძანა, მან მემარიდოს
უხილავთ მხეცთა კბილია!

გ. უნდა მხვნელთა და მთესველთ,
მწიდნველთა გინდა მბარავთა
მზის ამოსვლითგან ჩასვლამდე
შიგ არ შეხედონ კარავთა:
ცხელის ოფლითა დამწვართა,
ჩირდილთ ქვეშ მიუკარავთა,
რაც იმუშაკონ, ჭამონ და
აკამონ ქვეყნის მფარავთა.

დ. **მოლაშქრე** უნდა ჭაბუკი,
თამამი, თავმდაბლოვანი,
მეპატრონეთა ერთგული,
მორჩილი, სამართლოვანი,
მხნე, ამხანაგთა მოყვარე,
მამაცი, ძალ-გულოვანი,
გულ-სრულად მებრძოლთ მებრძოლი,
არ სუსტი, მაგარ მკლოვანი.

ე. **ვაჭარი** უნდა სარფისა:
სამთვრალოს არას სვემდესა,
ყომარბაზობას ერიდოს,
სიწმინდით თავსა სცევდესა,
მეტად უზომოდ არამსა
ალალში არა რევდესა,
სწორეს ადლსა და სასწორსა
ხელში არ ამრუდებდესა.

ვ. **ხუცესი** უნდა მამაცი,
ართუ ჯაბანი, მხდალია:
ხუცესს არ ეთქმის: „ჭირშიგან
ვერ შევალ, სარიდალია;"
ხუცესმან უნდა დამარხოს,
თუ კაცმან სული დალია.
ხუცესიც ბევრს რიგს დააკლებს,
თუ მეტი ღვინო დალია.

ზ. **ოსტატი** უფლის მოშიში
დავითმან ქებით შემოსა:
ნეტარს, ვინცა ნაშრომი
ნაყოფთა თვისთა ჭამოსა,
ცოლით არს, ვით მსხმო ვენახი,
კიდესა სახლ-მიდამოსა,
შვილნი ხედ ზეთის-ხილადა
ურგს ტაბლის გარეშემოსა.

ი. **აწ ბრძენი** უნდა სოფელში
ეგრეთ, ვით წმინდა ბერია:
ცხოვრობდეს, ხალხს ასწავლიდეს,
გახადოს მეცნიერია.
ბრძენმან არ უნდა იკადროს
ურიგო რაც რამ ფერია:
ბრძენის ურიგოდ ქცევითა
ბაძით წახდების ერია.

თ. **უმაწვილი** უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდან მოსულა,
სად არის, წავა, სადაო,
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭლად,
რას უძღვნის ხელ-ფასადაო,
ვით რემა ხნარეს არ ჩავარდეს
ულაგმო, დაუსადაო.

ი. **უნდა ქალმან** და ყმაწვილმან
დაჰხუროს ბაგე კბილისა,
ფეხი არ ახსნას საბლითა
და ენა შებორკილოსა,
არ მისცეს ნება შეძვრისა,
წარბს, წამწამს, თვალის კილოსა,
არცავინ თვით სხვა გავილოს,
არც სხვისგან გაიკილოსა.

მხოლოდ ამნაირ თვისებებით პატარა ერს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გმირულად შეეძლო დაეცვა თავისი ტკბილი თავისუფლება.

მ. ჯანაშვილი.

სასოფლო კომისიაში

სასოფლო კომისიამ დაადგინა ახლად შეშოერთებული ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში გაგზავნონ პროპაგანდისტები, რომელთაც უნდა შექმნან დემოკრატიული ორგანიზაციები და საერობო არჩევნებისათვის მუშაობა დაიწყონ. განზრახულია აგრედვე პროპაგანდისტების გაგზავნა ბათომის ოლქში.

—

ამავე კომისიამ ცნობა მიიღო სოჭის და სოხუმის ოლქებიდან, რომ იქ დაძრწიან საეჭვო პირები, რომელნიც მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან, კომისიამ დაადგინა, მათ წინააღმდეგ პროპაგანდისტები გაგზავნოს.

—

აგრედვე კომისია გზავნის პროპაგანდისტებს თიანეთის მაზრაში, სადაც საერობო მუშაობა შეწყვეტილია.

სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კრება

3 ქრისტეშობისთვეს შრომის სამინისტროსთან შრომის მინისტრის ამხანაგის გ. ერაძის თავმჯდომარეობით სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა კრება შესდგა. მოსამსახურეთა მატერიალურ დამხმარე საზოგადოების დასაარსებლად—ამ მიზნისათვის მთავრობას 2 მილიონი გადაუდგია. თაობირზე დაესწრენ სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

თათბირის წევრებმა მოისმინეს თავმჯდომარე ერაძის მოხსენება. ამ საკითხის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინეს: შესდგეს 6 კაცისაგან შემდგარი დროებითი კომისია, რომელშიც შევლენ წარმომადგენელნი შრომის სამინისტროსი, ცენტრალურ სასურსათო საბჭოს, კოოპერატიგების, და კავშირების, ფოსტა-ტელეგრაფის და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა წარმომადგენელნი. კომისიის მიზანი უნდა იქნეს სურსათისა და საქონლის რაოდენობა გამოარკვიოს. სახელმწიფო დაწესებულებებიდან (მომარაგების კომიტეტი, სასურსათო საბჭო და შინაგან საქმეთა სამინისტრო) სახელმწიფო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა რაოდენობის გამორკვევა, და შეძენილ საქონლისა და სურსათის შობამდე შეღავათიან ფასებში დარიგება.

კორესპონდენციები

ჩვენი სოფელი

ცუდი ამბები მოდის სოფლებიდან; ყველგან მძვინვარებს ესპანური სენი, სახადა და სხ. სასტიკად ვრცელდება საქონლის ჭირიც. ხშირდება ავაზაკობა, თავდასხმა, ძარცვა, მკვლელობა და სხ

ყაჩაღთა სათარეშო ასპარეზად იქცა თელავის მაზრა. რომელიც მუდამ ავაზაკთა საბუდარი იყო თვისი შემურვილი და უტეხი ტყეებით.

რევოლიუციამდე ხალხი შეგობრობას უწევდა ყაჩაღებს და იფარავდა; ეს იყო მიზეზი, რომ ავაზაკთა ლაშქარი სწრაფად იზრდებოდა და მაზრას იკლებდა.

თელავის მაზრაში დღეს ბევრ ავაზაკს მოუღეს ბოლო. ხალხი ერთსულოვნად გამოვიდა მათ წინააღმდეგ და იმედია მათი მარჯვენა მალეც დადუმდეს.

არა ნაკლებ საშიშია ქიმერეთი და კერძოდ სამეგრელო, სადაც დღე მუდამ შემაძრუწუნებელი ამბები და შემთხვევანი ხდება.

არც ქართლის სისხლიანი ხელია გაჩერებული და თითო თითო აზნაური უსაბამოდ ისევ ესალმება წუთისოფელს.

არავითარი გამართლება არ აქვთ ვერაგებს, არავითარ საპატიო მიზეზით არ არი გამოწვეული მათი ტყეში გაჭრა და იქიდან ხანჯლის ჭრიალი.

საჭიროა მათი ალაგმვა. მთავრობა მარტო ვერას გახდება თუ სოფელმაც არ ამოჭკვეთა თავის შორის მრუდე ხელი. დღეს გარემოეცულია საქართველო მტრებით და ნუ იქნება შიგნითაც უწესოება, თორემ საფრთხე კარში გვიცდის და ელის ჩვენს დასუსტებას.

შ. მათიკაშვილი

წერილი ბაქოდან

ბაქოში ქართველების მდგომარეობა სხვა და სხვა პროგოკაციული საშუალებით თანდათან რთულდება. ქართველების მტერ-მოყვარენი სომხები მიუხედავად ათას სიკეთისა, ყოველნაირ საშუალებას ხმარობენ ქართველების სახელის გასატეხად. სომხებმა უკანასკნელად იმ საშუალებასაც კი მიჰმართეს, რომ ვინც მათგანმა ქართული იცის თავისი გვარები „ოვი"-თ და „იანცი"-თ — „შვილად გადააკეთეს და ხშირად ქართველის „პასპორტებით" სცხოვრობენ. ამ რიგად ისეთ შემთხვევების დროს, როდესაც სომეხს რაიმე დანაშაულში ბრალი ედება, იგი თავის თავს ქართველად აცხადებს და ბოლოს საერთოდ ქართველებს ჰბრალდება სომხების მიერ, ჩადენილი ავი საქმეები.

ამ გვარად სრულიად დაუმსახურებლად ქართველებს სახელს და ნდობას უტეხენ და თუ სომხებს ეს ახალი პროვოკაციის საშუალება როგორმე არ მოესპოთ, ქართველებს ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებენ და თავინთებურად ყველას მოაძულებენ.

№

თეატრი და მუსიკა

„სალამბო". თბილისის ელექტროთეატრებმა დიდი მოლოდინის შემდეგ მიიღეს სურათი „სალამბო" ფლომერის ცნობილი რომანით.

ცნობილია, რომ ამ სურათის დასადგმელად ამბროზიოს (იტალიაში) ფირმამ მილიონზე მეტი ლირი დახარჯა. სურათი დიდი ხანია რაც ინგლისიდან გამოიგზავნა და მხოლოდ ეხლა მიიღეს თბილისში.

ვალ. შალიკაშვილის სასარგებლოდ სამშაბათს, 17 ქრისტეშობისთვეს წარმოდგენილ იქმნება „არშინ-მალ-ალან.

განცხადებანი.

იყიდება სახლი

მე-9 ნაწილში, რევაზოვის ქუჩა, № 5.
4—2

ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების სატერმინო სექცია მოკლე დროში გამოსცემს წინასწარი ხელის მოწერით რუსულ-ქართულ

ტეხნიკურ ლექსიკონს

რომელშიაც მოთავსებული იქნება უმთავრესი ტერმინები მექანიური, ელექტროტეხნიკური, ჰიდრო-ტეხნიკური, სამთა-მადნო, ქიმიური, მეტალურგიული, საამშენებლო, საგზაო, გემთა-საამშენებლო და სხვა დარგებიდან. ფასი 15 მან. ხელის მოწერა—ინჟ. ვ. კაკაბაძესთან, დიდი მთავრის ქ. № 70, ტელ. № 10—43.
1—1954—1

პერძო სამკურნალო

მძ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ. სიფილისის. 606—914 (ალიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იმნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტეოროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (ზარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი
ა. დ. ალექსიძე.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

შარტის 20 გაიხსნა ახალი

საკუურნალო

ყოველივეგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ნ. ბ. ბ. ბ. ნაბაღლიანის

საავადმყოფოში იარსებებს **კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ექიმი

ივ. ვ. დეკეურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.
მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს" პირდაპირ.

გ ა ი ხ ს ნ ა

თვლის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დოროთეა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ клინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი

გ. ნასამღერეშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

დოქტორი მედიცინისა

ალექსანდრეშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ჭირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლოს ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა

გ. მერაგოვისა

(რენტგენელოგი ნ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).
მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჭლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.
საწყლებს უფასოთ.

იბეჭდება თბილისის პუშკინის სახელობის გიმნაზიის გამოცემა

საქართველოს ისტორია

ეპიზოდიური კურსი 2 და 3 კლასებისთვის რუსულ ენაზე. ნ. ე. სპილიოტის და დ. ი. კასრაძისა. გამოვა 1919 წ. დასაწყისში.

ხელის მოწერის ფასი 6 მანეთი. გამოცემის დაბეჭდვის და გამოსვლის დროს ფასი შეიძლება შეიცვალოს. ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს 50 პროც. ვინც ბევრ ეკზემპლიარს დაიკვეთს ფასი შეთანხმებით დაეთმობა. ხელის მოწერა მიიღება პუშკინის სახელობის გიმნაზიის კანცელარიაში (ბებუთოვის ქ. № 56 და პუშკინის ქ. № 4).
10—5

ყოფილი „საუფლისწულო მამული" ღვინოები

(Удѣльныя вина)

გაიხსნა განეოფილება სახელმწიფო სარდაფისა

ტელეფ. № 888. სასახლის ქ. № 5. ტელეფ. № 888.

რესტორანების, სასტუმროების და მაღაზიების პატრონები და სხვა მოქალაქენი, გოლოვინის პროპექტის და ერევნის მოედნის რაიონში მცხოვრებნი, რომელთაც სურთ შეიძინონ „**საუფლისწულო**" მამულის ღვინო **პრეისკურანტის ფასებში**, კეთილ ინებებენ მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით.
12—7

ქალაქ გორში, მეჯვრისხევის ქუჩაზე, ყაზარმებთან

ყიდება

ერთ სართულიანი, აგურით აშენებული, ექვს ოთახიანი სახლი, სარდაფებით, შენობებით და ეზოთი. მიწა ზომით 299 კვ. საჟენი. პირობების შეტყობა შეიძლება პატრონთან ქ. თბილისში, კიროჩნი ქუჩა, ბინა 4 და გორში სოსო დიმიტრის ძე ქიტიაშვილთან.
1—1952 1

ქართული სააქციონერო საზოგადოება „ოქროს ვაზი"

ამით აცხადებს, რომ კვირას, 5 იანვარს, დილის 12 საათზე ფოთის საურთიერთო ნდობის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების აქციონერების საგანგებო კრება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი კითხვები:
1) წესდებას 4, 6, 8, 12, 17, 26, 32, 41 57, შეცვლისა.
2) გამგეობის ორი წევრის და მათ კანდიდატების არჩევა.
ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ თანახმად საგანგებო კრების გადაწყვეტილებისა უკანასკნელი ვადა საზოგადოების დამფუძნებელ აქციონერებზე გაწერილი აქციების ღირებულება უნდა იქნეს საზოგადოების კასაში შემოტანილი და სავსებით შევსებული არა უგვიანეს 25 თებერვლისა 1919 წ.

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.